ვაჟიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 დეკემბერი ორშაბათი 2011
№298 (13595) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

კოკოშკოვის ბრწყინვალება და კონტრაქტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

გაკვირვება, გაოცება, გაოგნება

თბილისელებმა ვერც ესპანური ისწავლეს და ქართულიც დაავიწყდათ

2-3

გუშინ რუსთავში. მეტალურგი-ზესტაფონი 0:0

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გიორგი შერმადინი

ნიკა მეტრეველი

თექვსმეტრევველი და შერმადუბლი

ქართველთა უხვი იტალიური მოსავალი

უხვქულიანი გამოდგა იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური ოთხი ქართველისთვის. სამ მატჩში ჩვენიანების ანგარიშზე 16-16 ქულაა.

ნიკა მეტრეველს 16 ქულის მოსაგროვებლად 14 წუთიც ეყო. მისმა „დინამომ" „ბენეტონთან" 72:80 წააგო.

ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა" „ვენეციას" 88:80 სძლია. ქართველმა ფორვარდმა 30 წუთში 16 ქულა და 3-3 მოხსნა-პასი მიითვალა.

„კანტუს" ქართველებმა, **გიორგი შერმადინმა** და **მანუჩარ მარკოიშვილმა** ერთობლივად მოაგროვეს 16 ქულა. მანუმ 5 ჩააგდო (3 პასი, 2 მოხსნა), გიორგიმ იტალიის პირველობაზე პირველი ორმაგი დუბლი გაიფორმა - 11 ქულა, 12 მოხსნა. „კანტუმ" სტუმრად „მონფერატოსთან" 65:69 დათმო.

ვაჟა სიმონიშვილი

ვერცხლის მედალი სოლიმპიადო ამბიციებს რეალურს ხდის

ძიუდო. ჩინეთის დიდი პრიზი

10

ჯობავამ ევროპაში ყველას აჯობა

11

მოილაპარაკეს

დინამო-გოგუა: 3 წელი

გოგიტა გოგუასა და თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკება ზაფხულში დაიწყო. მაშინ 27 წლის ნახევარმცველმა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ავსტრიული შეკრება დატოვა და კონტრაქტის გაწყვეტასა და "დინამოში" თამაშზე თანხმობა განაცხადა.

სამწუხაროდ, რუსებმა გოგუა საქართველოში არ გამოუშვეს, მაგრამ მოლაპარაკებები არ შეწყვეტილა. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ გოგიტა კლუბს სამწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა.

ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა. ეს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მოხდება.

მერაბ მამულაშვილი

9

ბარსას ტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

დღესასწაული მარტვილში

18.12. მარტვილი. ცენტრალური.
2 700 მაყურებელი

მერანი 2
დინამო 1

0:1 იაგუე (27), 1:1 იობაშვილი (75. მანწკავას პასით), 2:1 ტაპე (77).

65-ე წუთზე დიდავამ (მერანი) ვერ გაიტანა პენალტი

მერანი 4-4-2	დინამო 4-3-3
შეროზია	ზარქუა
კაკუშაძე	ოდიკაძე
იობაშვილი	ჰოჟოლა
გ. ჭვანია	რეხვიაშვილი
სუხიაშვილი	ლომიძე
დიდავა	კვეკვესკირი
მანწკავა	ალვარო
ე. გრიგალაშვილი	ჯილაური
ჩალაძე	რობერტინიო
ამბროლაძე	იაგუე
ტაპე	კოტო
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
მ. ჭვანია	ა. გარსია

მერანი

64. ამბროლაძე - **ტორაძე**
80. ჩალაძე - **მემარნიშვილი**
90. მანწკავა - **ნონორია**

სათადარიგოები: შალიკაშვილი, ჭაფოძე, გეგეჭკორი, შენგელია

დინამო

41. რობერტინიო - **კახელიშვილი**
68 რეხვიაშვილი - **ხოჭოლავა**
83. ჯილაური - **თიქთურმანიძე**

სათადარიგოები: ნადირაძე, პაპავა, ლექვთაძე

გაფრთხილება: **რობერტინიო (23), მანწკავა(58), ალვარო (59), ზარქუა (65), კახელიშვილი (86)**

არბიტრი: ლ. სილაგავა

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ „დინამოს“ მარტვილში გასეირნება არ ელოდა. ამიტომაც სტუმრებმა თავიდანვე სცადეს უპირატესობის მოპოვება: „მერანის“ კარს ჯერ **კოტო** დაემუქრა, შემდეგ — **ნიკა კვეკვესკირი**, მალე კი დინამოელებმა გაიტანეს კიდეც: 27-ე წუთზე კოტოს დარტყმული ბურთი **იაგუეს** მიუვიდა, რომელმაც **შეროზიას** შანსი არ დაუტოვა. მასპინძლები თამაშგარეს დაფიქსირებას ითხოვდნენ, თუმცა ამაოდ.

მალე **მალხაზ ჟვანიას** გუნდიც გააქტიურდა. **ელგუჯა გრიგალაშვილი** გამჭოლ გადაცემას უკეთებდა საჯარიმოში შესულ **ტაპეს**, მაგრამ მას მეკარემ დაასწრო; **მანწკავას** სახიფათო ჩაწოდებას **ამბროლაძე** გამოეხმაურა, თუმცა დარტყმა უზუსტო გამოუვიდა.

თუ პირველ ნახევარში ბურთს დინამოელები აკონტროლებდნენ, მეორე ტაიმში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მარტვილელთაგან შორეული დარტყმით გატანის შანსი გაუშვეს ხელიდან **დიდავამ** და ამბროლაძემ, სტუმართაგან კი ნახევარმომენტი ჰქონდა **კახელიშვილს**. „მერანი“ უნარიანად უტევდა, შეტევებს ძირითადად მანწკავა, გრიგალაშვილი და **სუხიაშვილი** წარმართავდნენ. 65-ე წუთზე გრიგალაშვილმა მეკარესთან მარტო დატოვა მანწკავა, რომელიც **ზარქუამ** აკრძალული ხერხით შეაჩერა. სტუმრები თერთმეტმეტრიანით, ხოლო მეკარე ყვითელი ბარათით დაისაჯა. პენალტის შესრულება მწვრთნელებმა გამოცდილ გივი დიდავას მიანდეს, თუმცა მისი დარტყმული ბურთი მარჯვენა დაბალ კუთხეში თორნიკე ზარქუამ მოიგერია.

მარტვილელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გატყდნენ და მალე ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს: მანწკავას მიერ მაღალი ტრაექტორიით ჩაწოდებულ ბურთს „მერანის“ ცენტრალურმა მცველმა **ვალერი იობაშვილმა** შეაგება თავი — 1:1.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელები აიჭრნენ. ზუსტად ორ წუთში კახელიშვილი საკუთარ საჯარიმოში შეცდა, ბურთი კოტდივუარელ ლეგიონერ **ტაპე მუნინს** მიუვიდა, რომელმაც მთელი მარტვილი გაახარა — 2:1.

„დინამო“ ვითარების შეცვლას ეცადა. ბოლო წუთებზე მერანელთაგან გრიგალაშვილს ჰქონდა გატანის რეალური შანსი, ხოლო დამატებულ წუთებზე — სტუმრებს, თუმცა ფაქტობრივად ცარიელი კარიდან ბურთი **გიმზერ ნოწორიამ** გამოიტანა.

საბოლოოდ, შეხვედრამ, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ მარტვილელი ქომაგები, სრულად გაამართლა მათი მოლოდინი — „მერანმა“ „დინამოს“ ძლევით ახალი ფურცელი ჩაწერა კლუბის ისტორიაში.

მალხაზ ჟვანია (მერანი): *„მინდა, მადლობა გადავუხადო ბიჭებს თავდადებისთვის. თავიდან გვქონდა პრობლემები და ხარვეზები, რამაც განაპირობა კიდეც ანგარიშში ჩამორჩენა. ჩვენი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მალევე გამოვასწორეთ თამაში და ისტორიული გამარჯვებაც მოვიპოვეთ. პენალტებზე კი აუცილებლად ვიმუშავებთ... შედეგს ლოგიკურად მივიჩნევ“.*

ალექს გარსია (დინამო): *„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეტის გატანაც შეგვეძლო, თუმცა არ გაგვიმართლა. მსაჯობით ძალიან უკმაყოფილო ვარ, არ შეიძლება ასეთი არასერიოზული მიდგომა, ეს უარყოფითად მოქმედებს ზოგადად ფეხბურთზე“.*

ბესიკ გვაზავა
მარტვილიდან

გაგრაში ჯერემიას ჯერია

18.12. თბილისი. მერანი (ზეემჯ).
300 მაყურებელი

გაგრა 1
ვიტ ჯორჯია 0

1:0 კვანტალიანი (79)

გაგრა 4-4-2	ვიტ ჯორჯია 4-2-3-1
გეგაშვილი	ძაძამია
ხუციძე	დ. ხურცილავა
კალანდაძე	კასრაძე
ზ. ჩხეტიანი	ადამაძე
ჯგერენაია	ღანიაშვილი
გაგედავა	ვასაძე
ნაკონეჩნი	გურამ გურეშიძე
ყურულაშვილი	კორიფაძე
ჯიშკარიანი	ჯანელიძე
შარიძაძე	ზარაძე
ჯერემია	ჩიმაკაძე
მწვრთნელი	მწვრთნელი
ზ.ჯულაძე	ზ.ბერიძე

გაგრა

46. ყურულაშვილი - **კვანტალიანი**
70. ჯგერენაია - **გაგუნია**
72. შარიქაძე - **სიჯინავა**

სათადარიგოები: მალრაძე, ხოჯაშვილი, ჭკუასელი, ზვიადაძე

ვიტ ჯორჯია

82. ზაქრაძე - **კუხალეიშვილი**
82.ვასაძე - **ვაშაკიძე**

სათადარიგოები: რეჭია, გეთიაშვილი, მაისაშვილი, გოგიაშვილი, გიორგი გურეშიძე

გაფრთხილება: **ჯანელიძე (70), გაგედავა(81)**

არბიტრი: **გ. ვდაჭკორია**

ამ გუნდების დაპირისპირება ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს ჩემპიონატში და მეტოქეებმა გუშინაც ჟინიანად იბრძოლეს - გაიმარჯვა მან, ვინც უფრო გამჭრიახი და იღბლიანი გამოდგა.

ამ მოგებით „გაგრამ“ „ვიტ ჯორჯიასთან“ სხვაობა ორ ქულამდე შეიმცირა. სატურნირო ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად გაისად ორივეს გვარიანი ბრძოლები ელის. ამიტომაც, ამ შეხვედრის შედეგი ერთობ მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ბევრი ხისტი ორთაბრძოლა და არანაკლები ტექნიკური წუნი – ასეთი თამაში გაჩაღდა. მონდომება არც ერთ გუნდს არ დაეწუნებოდა, თუმცა შეტევაში თავქუდმოგლეჯილიც არავინ გარბოდა.

აღსანიშნავია **ჯონ ჯერემიას** თამაში. ფეხმალი ნიგერიელი ფორვარდი მცველებს მოსვენებას არ აძლევდა და ტექნიკური ილეთებით არცთუ მცირე პრობლემებს უქმნიდა მეტოქეს.

პირველი სახიფათო მომენტი კი „ვიტ ჯორჯიამ“ შექმნა, როცა ნაკუთხურალ ბურთს **ბესიკ ჩიმაკაძემ** შეაგება თავი – **გიორგი ბეგაშვილმა** დარტყმა მოიგერია, დამატებაზე **ბექა ზაქრაძე** ცდილობდა გატანას, მაგრამ ბურთს ერთ-ერთი მცველი გადაეღობა.

შესვენებაზე **ზვიად ჯელაძემ** ნახევარმცველი **გიორგი ყურულაშვილი** თავდამსხმელ **შალვა კვანტალიანით** შეცვალა, ჯერემიას ოდნავ უკან გამწესებულმა **ლევან შარიქაძემ** კი ნახევარდაცვის ცენტრში დაიხია. ვერ ვიტყვით, რომ ამ ტაქტიკური ცვლილებით „გაგრა“ მოედნის ცენტრს დაეპატრონა ან თავდასხმა მნიშვნელოვნად გააძლიერა, მაგრამ ფაქტია – გაგრელებმა კვანტალიანის გოლით იმარჯვეს.

შეიძლება ითქვას, რომ ბურთის ფლობის ხანგრძლივობით „ვიტ ჯორჯია“ აღემატებოდა მოწინააღმდეგეს, თუმცა თამაშის გამწვავება დიდად ვერ გამოსდიოდა.

ერთ-ერთი კონტრშეტევისას **გიორგი გაბედავა** გაიჭრა კარგ პოზიციაზე, მაგრამ **რევაზ ღანიაშვილმა** ითამაშა თავგანწირულად და ხიფათი გააუვნებლა. ამის შემდეგ „გაგრამ“ მეორე შანსიც გაანიავა – ჯერემია მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და მეკარისგან მიტოვებულ კარს ააცილა ბურთი. იყო ეპიზოდი, როცა **გიორგი ძაძამიამ** და ღანიაშვილმა ვერ გაუგეს ერთმანეთს, ამით კი გაბედავამ ვერ ისარგებლა.

გოლი კი ასე გავიდა – მოედნის ცენტრიდან ჯერემიამ კარგად გადააწოდა **ნიკოლოზ ჯიშკარიანს**, ძაძამიამ მისი დარტყმული ვერ შეიმაგრა და დამატებაზე კვანტალიანმა იყოჩაღა.

ვიტჯორჯიელთა დამრიგებელმა **ზურაბ ბერიძემ ლევან კუხალეიშვილი** და **გიორგი ვაშაკიძე** ჩართო თამაშში. სტუმრებმა შეტევა გააძლიერეს და ანგარიშის გათანაბრებას შეეცადნენ. **გურამ გურეშიძის** მოხდენილი პასით კუხალეიშვილი მეკარესთან პირისპირ უნდა გასულიყო, მაგრამ....ფეხი დაუცდა. შემდეგ ჩიმაკაძეს შეეძლო გატანა, თუმცა დარტყმა გაუცუდდა. ბოლო სახიფათო შეტევა კი ჯერემიასი იყო – ძაძამიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ნიკა გვათუა

აღ	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები: აღ	ბურთები: გან	ქ
1	ზესტაფონი	17	12	3	2	35	15	39
2	ტორპედო	18	12	2	4	26	13	38
3	დინამო	18	10	3	5	34	22	33
4	მეტალურგი	18	8	6	4	21	18	30
5	მერანი	17	9	2	6	22	19	29
6	ბაია	18	7	3	8	19	20	24
7	ვიტ ჯორჯია	18	6	5	7	21	22	23
8	გაგრა	18	6	3	9	18	23	21
9	სპარტაკი	18	5	4	9	16	25	19
10	დილა	18	5	3	10	23	25	18
11	კოლხეთი	18	4	6	8	15	24	18
12	სიონი	18	1	4	13	11	35	7

ბომბარდირები

ჩისკო (დინამო)	9
ტატანაშვილი (მეტალურგი)	9
დვალი (ზესტაფონი)	9

გამოტოვებული მატჩი

22 დეკემბერი, ხუთშაბათი
მერანი-ზესტაფონი

XIX ტური. 2012 წელი

14 თებერვალი, სამშაბათი
ტორპედო-გაგრა
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

15 თებერვალი, ოთხშაბათი
დილა-მეტალურგი
ზესტაფონი-ბაია
მერანი-კოლხეთი
დინამო-სიონი

18.12. ზუგდიდი. ბაიას ბაზა.
400 მაყურებელი

ბაია 1
ტორპედო 1

0:1 თარხნიშვილი (49), 1:1 აფაქიძე (72)

ბაია 4-5-1	ტორპედო 4-5-1
მაძაცარია	მიგინიშვილი
რიბვასა	ფერგელაშვილი
აფაქიძე	ს. თოლუა
ქვარცხავა	გამეზარდაშვილი
ნ. ჭონია	დ. ფოფხაძე
ტყემალაძე	დოლიძე
სიხარულია	თარხნიშვილი
სამუშია	დიღმელაშვილი
მგელაძე	გ. დათუნაიშვილი
წურწუმია	დ. ბოლქვაძე
ეხვაია	რ. გოცირიძე
მწვრთნელი	მწვრთნელი
ე. ქომეთიანი	გ. გეგუჩაძე

ბაია

69. სამუშია – **ფარჯიკია**
85. სიხარულია – **პაჭკორია**

სათადარიგოები: ჯომიდავა, გამრეკლიძე, ვეკუა, ყიშკარიანი, ენდელაძე

ტორპედო

64. დოლიძე – **იოსელიანი**
65. გოცირიძე – **მეგრელაძე**
80. დიღმელაშვილი – **დ. ჯანელიძე**

სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, კუხიანიძე, საბანაძე

გაფრთხილება: **გ. დათუნაიშვილი (52)**

არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

არგენტინის „ხეარგ სპორტი“ გინწვევთ

1. არგენტინის საფეხბურთო “კომპანია “„‘ხეარგ სპორტი” საქართველოდან იწვევს პერსპექტიულ ფეხბურთელებს ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად 3 თვიდან 1 წლის ვადით. შესაბამისი მომზადების შემდეგ, ფეხბურთელებს ვისაც სურთ ითამაშონ არგენტინულ კლუბებში, “ხეარგ სპორტის” მიერ ნარდგენილნი იქნებიან ტესტირებაზე. ქართველ ფეხბურთელებს არგენტინულ კლუბებთან კონტრაქტის გაფორმება შეუძლიათ 18 წლიდან. ფეხბურთელები არგენტინაში უნდა გამოცხადდნენ 2012 წლის 15 იანვრიდან.

2. საქართველოს უმაღლესი ლიგის საფეხბურთო გუნდებს მოვუწყობთ შეკრებას და ამხანაგურ თამაშებს არგენტინაში.

3. ქართულ საფეხბურთო კლუბებს წარუდგენთ მაღალი დონის არგენტინელ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს.

მსურველებს ვთხოვთ მიმართონ არგენტინის “ხეარგ - სპორტის” წარმომადგენელს საქართველოში მისამართზე: თბილისი, ლეონიძის №4, 20 დეკემბრიდან ყოველდღე, კვირის გარდა. 11-დან 12 სთ-მდე. ან დარეკეთ: 579-41-53-35; 599-23-55-20.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ: 383-384. ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐ: leloltd@gmail.com

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ **ᲨᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲐ ᲚᲔᲚᲝ**

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲔᲥᲓᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ

საქართველოს ჩემპიონატი

XVIII ტური

18.12. რუსთავი. ფოლადი.
2 000 მაყურებელი

მეტალურგი 0
ზესტაფონი 0

მეტალურგი 4-2-3-1	ზესტაფონი 4-4-2
გელიაშვილი	კვასხვაძე
გავაშელიშვილი	ლონღაძე
მახვილაძე	კობახიძე
კვარაცხელია	ონიანი
დოგროვოლსკი	ელიავა
რაზმაძე	აფციაური
ქავთარაძე	ძარია
ჭელია	გორგიაშვილი
მიქაბერიძე	გაბუნაშვილი
ი. მაისურაძე	დვალი
ტატანაშვილი	ნ. გელაშვილი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
კ. ჟორჟიკაშვილი	გ. ჭიაბრიშვილი

მეტალურგი

90. მიქაბერიძე — **პავლიაშვილი**
სათადარიგოები: ბათიაშვილი, გენაძე, ჩადუნელი, წენგუაშვილი

ზესტაფონი

60. ბაბუნაშვილი — **ფიფია**
69. გორგიაშვილი — **სარდალიშვილი**
81. გელაშვილი — **ს. ლომია**
სათადარიგოები: მამალაძე, საჯაია, თ. გრიგალაშვილი, გაგოშიძე
გაფრთხილება: **გორგიაშვილი (25), კვარაცხელია (41), გელაშვილი (41)**
არბიტრი: **ლ. კვარაცხელია**

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

აუდიტორია სოლიდური, თამაში...

ამ ტურამდე „ზესტაფონი“ იყო ერთადერთი გუნდი, სტუმრად არც ერთი მატჩი რომ არ ჰქონდა წაგებული და ქვეყნის ჩემპიონმა ეს „ტრადიცია“ არც ახლა დაარღვია; თანაც, რუსთავში მიღწეული ფრის შემდეგ **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალური ტიტულიც გაიფორმა! რაც მთავარია, კურიოზულ სიტუაციამდე საქმე არ მისულა: „მერანთან“ გამოტოვებული მატჩის შედეგის მიუხედავად, „ზესტაფონი“ ორივე ცხრილის („ჩვეულებრივისაც“ და „ვირტუალურისაც“) მიხედვით პირველ ადგილზეა; თანაც, გასული ტურის, სულ მცირე, ორი მატჩიც ისეთი შედეგით დამთავრდა, სწორედ „ზესტაფონისათვის“ რომ იყო იდეალურიც და მისაღებით...

... დეკემბრის და სუსხის კვალობაზე, რუსთავში გუშინდელ მატჩს გულშემატკივართა მხრიდან ინტერესი არ მოჰკლებია; ეგ კი არა, კარგა ხანია „ფოლადზე“ ქომაგთა ასეთი მრავალრიცხოვანი აუდიტორია არ შეკრებილა — ყოველ შემთხვევაში, 2000 კაცი (სავარაუდოდ) ნამდვილად იქნებოდა, ოღონდ, განსაკუთრებული პაექრობა იყოო, ამას ვერავინ იტყოდა. თუმცა, მეტოქეთა გასაკრიტიკებლად ენა არავის უნდა მოუბრუნდეს: იმის გარდა, რომ წლის ერთ-ერთი ბოლო მატჩი იყო, არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობამაც თავისი დაღი დაასვა ტურის ცენტრალურ დაპირისპირებას. საკადრო პრობლემები ბევრად უფრო მტკივნეულად მასპინძელთა თამაშზე აისახა: ტრავმის გამო ვერ თამაშობდნენ **ირაკლი მოდებაძე, გიორგი სეთურიძე, ლაშა ჯაფარიძე,** ზედიზედ მეორე მატჩია არ უთამაშია **ალექსანდრე კვახაძესაც**; ჰოდა, ამის გამოც იყო, რომ მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე შვიდის ნაცვლად ხუთი ფეხბურთელი იჯდა და „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი **კობა ჟორჟიკაშვილი** მეტოქე-კოლეგისაგან განსხვავებით, უშუალოდ მატჩის მსვლელობისას რაიმე კორექტივების შეტანისაგან აშკარად შეზღუდული გახლდათ. დანაკლისი სტუმრებსაც ჰქონდათ — სხვადასხვა სახის ტრავმის გამო გუშინდელ მატჩში არ უთამაშიათ **შოთა გრიგალაშვილსა** და **ალექსი ბენაშვილს.** თუმცა, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ერთი-ორი წამყვანი ფეხბურთელის გამოკლება „ზესტაფონის“ თამაშზე ნეგატიურ გავლენას არ ახდენს და გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელებიც შემადგენლობის როტაციას უპრობლემოდ ახერხებენ. ასე იყო გუშინაც: სტუმრები მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა „მეტალურგის“ კართან აურაცხელი მომენტი შექმნესო რომ ვთქვათ, არც მასე იყო საქმე. საერთოდაც, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი მატჩი გამოდგა (განსაკუთრებით — პირველი ტაიმი); არადა, დასაწყისი საინტერესოს გვპირდებოდა: მარცხენა ფლანგიდან **შოთა ბაბუნაშვილმა** ზუსტი პასით საპირისპირო ფრთაზე **ნიკოლოზ გელაშვილი** მოძებნა, მაგრამ ამ უკანასკნელის შეუჩერებელი დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. ტაიმის ბოლომდე „ზესტაფონმა“ ორად-ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ ორივეჯერ (ისე როგორც, საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში) უშეცდომოდ ითამაშა მასპინძელმა მეკარემ **გრიგოლ ბედიაშვილმა.** აი, რაც შეეხება მის კოლეგას, **როინ კვასხვაძეს,** საკუთარი ოსტატობის გამოვლენა, საერთოდ არ დასჭირვებია...

მეორე ტაიმში თამაში მცირედით გამოცოცხლდა, ერთ ეპიზოდში მასპინძელთა სახიფათო იერიშიც ვნახეთ, კუთხურით რომ დამთავრდა და რასაც **გივი კვარაცხელიას** სახიფათო თავური დარტყმა მოჰყვა. ოღონდ, ეს იყო და ეს — მასპინძლები კონტრშეტევების იმედად იყვნენ, სტუმრები კი მხოლოდ მატჩის ბოლო ათწუთიან მონაკვეთში გააქტიურდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მოკლედ, თამაშის სცენარი ისეთი იყო, რომ შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე მასპინძლები ფრეზეც თანახმა იქნებოდნენ, რასაც ვერ ვიტყვით სტუმრებზე — ბოლო ათ წუთში შტურმი რომ მოაწყვეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მარჯვენაფლანგელები — **თემურ ღონღაძე** და შეცვლაზე შემოსული **მიხეილ სარდალიშვილი.** ეფექტიანი გამოდგა **თორნიკე აფციაურის** ცენტრში გადაყვანაც — „ზესტაფონის“ კაპიტანმა ბოლო წუთებზე საშუალო მანძილიდან ორჯერ დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ერთ ეპიზოდში თუ ბურთი რუსთაველთა კარს მცირედით ასცდა, აი, მეორეჯერ კი მასპინძლები აშკარა ხიფათს საიმედოდ მოთამაშე გრიგოლ ბედიაშვილმა გადაარჩინა.

გია ტუხაშვილი
რუსთავი-თბილისი

ბოლნისი. თ. სტეფანია. ბიგლიოთეკა

18.12. ბოლნისი. თ. სტეფანია.
100 მაყურებელი

სიონი 0
დილა 3

0:1 **დ. ჩაგელიშვილი** (13. რაჟამაშვილის პასით), 0:2 **დ. ჩაგელიშვილი** (45. **გ. თოდუას** პასით), 0:3 **პ. ხორგუაშვილი** (60)
მე-60 წუთზე გ. თოდუამ (დილა) ვერ გაიტანა პენალტი

სიონი 4-4-1-1	დილა 4-4-2
ზუხბაია	შეყრილაძე
გიორგელიძე	ვ. ხორგუაშვილი
ვაშაგაშვილი	ქარქუზაშვილი
გ. თარგამაძე	ბაძრაძე
ადამაშვილი	გველესიანი
ისიანი	ჯოჯუა
ხურციძე	პ. ხორგუაშვილი
ბაბაკაშვილი	გოგინაშვილი
ყაველაშვილი	რაჟამაშვილი
აქ. ნოზაძე	ახალკაცი
უგულავა	დ. ჩაგელიშვილი
მწვრთნელი	მწვრთნელი
ლ. გაჯელიძე	თ. მახარაძე

სიონი

20. ადამაშვილი - **ლ. ჩხეტიანი**
46. უგულავა - **ნინიკაშვილი**
66. ყაველაშვილი – **ორუჯოვი**
სათადარიგოები: ხორავა, ხარჩილავა, აიუბოვი, აიკა ზოვი

დილა

32. ახალკაცი – **გ. თოდუა**
63. პ. ხორგუაშვილი – **ნემსაძე**
74. რაჟამაშვილი – **ჟითანავა**
სათადარიგოები: მერლანი, ი. ლომიძე, ნ. ნოზაძე, სადაღაშვილი
გაფრთხილება: **გიორგელიძე (40), ზუხბაია (59), ვაშაგაშვილი (78)**
გაძევება: **ნემსაძე (90)**
არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

ძნელად თუ შევიტანდით ეჭვს იმაში, რომ "დილა" ბოლნისიდან სამ ქულას წაიღებდა – არა მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ამ ორი გუნდის კლასს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა, არამედ ჩემპიონატის ფორმატის გამოც. "სიონს" ხომ ზედა რვა გუნდში მოხვედრის ყოველგვარი შანსი დაკარგული აქვს, გორელები კი ამ მიზნისთვის გააფთრებით იბრძვიან.

ბოლნისელთა შემადგენლობას თუ გადახედავთ, თავადაც დარწმუნდებით, რომ "სიონის" სამწვრთნელო შტაბმა გუშინდელი მატჩის შედეგი თავიდანვე არად ჩაადო და არა თუ გადახალისებული, არამედ, ფაქტობრივად, სარეზერვო შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე. სამი ფეხბურთელისთვის კი ეს შეხვედრა სულაც სადებიუტო იყო უმაღლეს ლიგაში.

თემურ მახარაძის გუნდი საქმეს თავიდანვე აქტიურად შეუდგა და სოლიდური უპირატესობა სწრაფ გოლში ასახა. "ზესტაფონში" გადასულმა **დავით რაჟამაშვილმა**, რომელიც "დილას" მაისურით უკანასკნელად თამაშობდა, მეკარესთან პირისპირ **დავით ჩაგელიშვილი** გაიყვანა, რომელსაც თავისიანების დაწინაურება არ გასჭირვებია.

გორელებმა იერიშები აქტიურად განაგრძეს და ანგარიშის გაზრდის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობაც გაუშვეს ხელიდან. **ვლადიმერ ზუხბაიამ,** რომელიც "სიონის" შემადგენლობაში ერთადერთი ნათელი წერტილი იყო, **გია თოდუას,** რაჟამაშვილსა და ჩაგელიშვილს არ გაატანინა. თუმცა ამ უკანასკნელმა დუბლის შესრულება პირველივე ტაიმში მოასწრო – მან თავი შეცვლაზე შესული თოდუას პასით გამოიჩინა და პირველი ნახევარიც დასრულდა.

ანგარიში გამანადგურებელი მას შემდეგ გახდა, რაც ზუხბაიამ საკუთარ საჯარიმოში ბურთი დაკარგა და იძულებული შეიქნა, თოდუა წაექცია. დაზარალებულის მიერ შესრულებული პენალტი მეკარემ მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას **პავლე ხორგუაშვილმა** დაასწრო – 0:3.

თოდუამ შეცდომის გამოსწორება არაერთხელ სცადა, მაგრამ ბურთი ხან ძელს გაარტყა, ხანაც კვლავაც მიზანმა უმტყუნა.

ტურის ყველაზე იოლად პროგნოზირებადი მატჩი კი ბოლნისელთა ორი გაცუდებული მომენტითა (**ისიანი, ხურციძე**) და **ვაჟა ნემსაძის** გაძევებით დასრულდა. ამ უკანასკნელმა წითელი ბარათი არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მიიღო.

ლევან ჯანეზაშვილი
ბოლნისი-თბილისი

18.12. ქუთაისი. ცენტრალური.
100 მაყურებელი

ჟოლხეთი 1
სპარტაკი 0

1:0 **მეგრელიშვილი** (61)

ჟოლხეთი 4-4-1-1	სპარტაკი 4-2-3-1
ბოგლიაშვილი	ქაგანია
ცხვიტარია	თიგილაშვილი
ლომაშვილი	ტეტუნაშვილი
ინწკირველი	გოიოგო
მეგრელიშვილი	მერეჩკო
პ. დათუნაიშვილი	ვ. კილასონია
ქებაძე	თ. შონია
ცხადაია	შალამბერიძე
მდივნიშვილი	ჯიძია
გვალია	შარაშენიძე
ციცხვაია	მეგრელელი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
დ. მახარაძე	ვ. ხარიძე

ჟოლხეთი

46. მდივნიშვილი - **ლემონჯავა**
90. ციცხვაია - **გულუა**
სათადარიგოები: ნადირაშვილი, გ. კილასონია, გოგონაია, შავგულიძე, ნიქარიშვილი

სპარტაკი

46. კილასონია - **მამუჩიშვილი**
სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, ბურძენაძე, დეკანოიძე, ლობჟანიძე, ნარიმანიძე, მამასახლისი
გაფრთხილება: **პ. დათუნაიშვილი (59), ქებაძე (87)**
არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

დიდი რვიანის საზღვართან დიდი გაწევ-გამოწევაა

ორივე გუნდი საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად იბრძვის და ქუთაისურ მატჩს მათთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. შეხვედრას „სპარტაკი უკეთესი სატურნირო მდგომარეობით ხვედებოდა და მოგების შემთხვევაში 8 საუკეთესოს შორის მოხვედრის შანსებს გაიმყარებდა, ფოთელებს კი, თუ უშუალო კონკურენტებთან გატოლსნორება სურდათ, აუცილებლად გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ.

პირველი ნახევარი არცთუ კარგი სანახავი გამოდგა. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. მცირე უპირატესობას ნომინალური მასპინძლები ფლობდნენ. პირველი მეტნაკლებად სახიფათო შეტევაც მათ განახორციელეს. 29-ე წუთზე **მეგრელიშვილის** მიერ საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ბურთი **ლაშა ძაგანიამ** მოიგერია. მალე **ლაშა ქებაძემაც** იაქტიურა და საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, თუმცა კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა. ფოთელები შეტევებს განაგრძობდნენ და **გვალიას** მიეცა კარგი შანსი, მაგრამ **ბოიომოს** შეცდომით ვერ ისარგებლა. ტაიმის ბოლოს ცხინვალელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის ბრწყინვალე შესაძლებლობა, **მეტრეველი-შარაშენიძე-შალამბერიძის** კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ხეირიანად ვერ დაარტყა და ბურთი კარს საკმაოდ ააცილა.

მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესო საცქერი იყო. გუნდებმა ტემპს უმატეს და სახიფათო მომენტებმაც იმატა. თამაშის განახლებისთანავე სტუმრებს ჰქონდათ კარგი შანსი, **თემურ შონიამ** შესანიშნავი დრიბლინგით მცველებს გვერდი აუარა და შარაშენიძეს კარგი პოზიცია შეუქმნა, მაგრამ ცხინვალელთა შემტევმა უზუსტოდ დაარტყა. რამდენიმე წუთში კი მეტრეველის სახიფათო თავური ასცდა მიზანს. ამასობაში ფოთელებიც გააქტიურდნენ, განსაკუთრებით მათი მარცხენა ფრთა გამოირჩეოდა, სადაც შეცვლაზე შესული **გიორგი ლემონჯავა** და დათო მეგრელიშვილი აქტიურობდნენ. ისინი დაცვით ფუნქციებსაც ართმევდნენ თავს და შეტევებშიც სახიფათოდ ერთვებოდნენ. სწორედ მეგრელიშვილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გახსნეს ზღვისპირელებმა ანგარიში: მეგრელიშვილი ორ მეტოქეს გაექცა და საჯარიმოში **ციცხვაიას** გადააწოდა, მისი დარტყმული ბურთი წაქცეულ მეკარეს მოხვდა და მეგრელიშვილს მიუვიდა, რომელმაც ძაგანიას შანსი აღარ დაუტოვა - 1:0

ცხინვალელებმა ნაგების საფრთხე იგრძნეს და შეტევები გააძლიერეს. **ხაჩიძის** შეგირდებს ანგარიშის გათანაბრება საპასუხო შეტევისთანავე შეეძლოთ, მაგრამ რეალური შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან - შონიას უძლიერესი დარტყმა **ბობღიაშვილმა** მოიგერია, დამატებაზე კი შარაშენიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ხარიხას გადააცილა. მალევე მეტრეველს შეეძლო გატანა, მან მცველებს დაასწრო და ახლოდან შემობრუნებით დაარტყა, მაგრამ ააცილა. მე-80 წუთზე კი შონიას სახიფათო დარტყმა ბობღიაშვილმა მოიგერია. დარჩენილმა დრომ ორმხრივ შეტევებში ჩაიარა. ანგარიშის შეცვლა ორივე გუნდს შეეძლო, ფოთელთაგან გვალიასა და ციცხვაიას სახიფათო დარტყმებია აღსანიშნავი, ცხინვალელთაგან კი შალამბერიძემ იაქტიურა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა შეტევის ბოლო ფაზაში ვერ იყოჩაღეს... „ჟოლხეთმა“ უშუალო კონკურენტს დამარცხებით საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა, „სპარტაკი“ კი ამ მარცხის შემდეგ მე-9 პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგამაძე და ისევ ვარიანტები

შახტარი პირადი ამბავია, არის მოსკოვიც...

"საქართველოს ნაკრებისა და უკრაინული "ოლექსანდრიას" ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** კარიერას დონეცკის "შახტარში" გააგრძელებს, თუმცა უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეში ქართველი შემტევი მარიუპოლის "ილიჩივეცში" იჯარით ითამაშებს", - იუწყებოდა შაბათს უკრაინული ინტერნეტ-გაზეთი "უა ფუტბოლი".

„შახტარი" აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი და ამბიციური კლუბია, ასე რომ, იქ მოხვედრა დათოსთვის უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით "შახტარის" ვებგვერდზე ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ, თავად თარგამაძემ კი უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" განაცხადა, რომ დონეცკელებთან მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა.

"ჩემს მენეჯერ ანდრეი ბილეიჩუკს "ოლექსანდრიას" პრეზიდენტმა ნიკოლა ლავრენკომ აცნობა, რომ "შახტარის" პრეზიდენტ რინატ ახმეტოვს საკომპენსაციო თანხაზე შეუთანხმდა. ჩემთვის დიდი პატივია ასეთი გრანდისა და მირჩა ლუჩესკუს წინადადება, თუმცა "შახტარში" ჩემი გადასვლა ჯერ არ გადაწყვეტილა. დონეცკელებთან კონტრაქტი იმის გამო ფერხდება, რომ ჩემი პირადი კონტრაქტის დეტალები ჯერაც შესათანხმებელია.

არის სხვა ვარიანტებიც, აგენტი მოლაპარაკებას რამდენიმე ევროპულ კლუბთან ანარმოებს. ჩვენ დეტალურად ვაანალიზებთ თითოეულ წინადადებას, არ გვინდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღოთ. ერთი რუსული კლუბიც გველაპარაკება, თუ შევთანხმდებით, შესაძლოა, მოსკოვში სამედიცინო შემოწმებაზე გავემგზავრო და, არ არის გამორიცხული, კონტრაქტი გავაფორმო", – თქვა თარგამაძემ.

მერაბ მამულაშვილი

გურამ კაშიას სამჭულიანი თავური

მჭედლიძემ ნავსი გატეხა, ცხადაძემ - ნეფთჩი

ფეხბურთელი	ას.	კლუბი	მეტოქე	ანგ.	შენიშვნა	სეზ.
გერმანია. I ბუნდესლიგა. XVII ტური						
ლევან კოგიაშვილი	34	ჰერტა	ჰოფენჰაიმი	1:1 (გ)	90 წუთი	17 თ, 1გ
გერმანია. II ბუნდესლიგა. XIX ტური						
ალექსანდრე იაშვილი	33	კარლსრუე	მიუნხენი	1:3 (შ)	90 წთ	18 თ, 5 გ.
იტალია. სერია ა. XV ტური						
კახა კალაძე	33	ჯენოა	ბოლონია	2:1 (შ)	90 წუთი, გააფრთხ.	8 თ
იტალია. სერია ბ. XX ტური						
ლევან მჭედლიძე	21	ემპოლი	გროსეტო	2:2 (შ)	90 წუთი, 1 გოლი, გააფრთხ.	10 თ, 1 გ
ირაკლი შეყილაძე	18	ემპოლი	გროსეტო	2:2 (შ)	არ უთამაშია	0 თ
საფრანგეთი. ლიგა 2. XVII ტური						
გიორგი მაკარიძე	21	ლე მანი	ანჟერი	2:2 (შ)	90 წუთი	13 თ
ჰოლანდია. ერედივიზიე. XVI ტური						
გურამ კაშია	24	ვიტესი	ჰერაკლესი	1:0 (გ)	90 წუთი, 1 გოლი	17 თ, 2 გ
გიორგი ჭანტურია	18	ვიტესი	ჰერაკლესი	1:0 (გ)	90 წუთი	15 თ 3 გ
ვალერი ყაზაიშვილი	18	ვიტესი	ჰერაკლესი	1:0 (გ)	სათადარიგო	3 თ, 1 გ
საბერძნეთი. სუპერლიგა. XIV ტური						
დავით კვირკველია	31	პანიონიოსი	ძსანთი	0:1 (გ)	არ უთამაშია	12 თ
გიორგი შაშიაშვილი	32	ერგოტელისი	ლევადიაკოსი	1:0 (გ)	90 წუთი	11 თ, 1გ
თურქეთი. სუპერლიგა. XV ტური						
აკაკი ხუციშვილი	25	სამსუნი	გეზიქთაში	1:1 (შ)	90 წუთი	8 თ
ზურაბ ხიზანიშვილი	29	ძაისერი	ესკიშეჰირი	0:1 (გ)	90 წუთი	13 თ
ავსტრია. ბუნდესლიგა. XIX ტური						
გიორგი ფოფხაძე	24	შტურმი	რიდი	1:1 (გ)	90 წთ, გააფრთხ.	12 თ
კვიპროსი. I დივიზიონი. XIV ტური						
ლევან მალრაძე	33	ეთნიკოსი	ანორთოსისი	0:2 (გ)	90 წუთი	12 თ
ლევან ძიბაძე	36	ეთნიკოსი	ანორთოსისი	0:2 (გ)	25 წთ (შეცვლაზე)	10 თ
ისრაელი. ლიგატ ჰაალი. XVII ტური						
ლადო დვალიშვილი	25	მაძაგი ჰ.	ნეთანია		დღეს	7 თ, 4 გ

ზამთრის სუსხის მატებასთან ერთად ჩვენი ლეგიონის ცხრილი მცირდება, თუმცა ამ უქმეებზე მაინც საკმაოდ მოხდა არათუ მხოლოდ აღსანიშნი, არამედ ჩვენთვის გასახარი ამბები - ჰოლანდიაში „ვიტესს" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** შედეგიანი თავურით მოაგებინა, იტალიაში სეზონის პირველი გოლი გაიტანა **ლევან მჭედლიძემ**, ხოლო აზერბაიჯანში **კახა ცხადაძის** გუნდმა ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება ჩვენებურთა წყალობით მოიპოვა.

ჰოლანდიით დავიწყოთ - **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესი" „ჰერაკლესს" ესტუმრა, ალმელოში ერთადერთი გოლი 86-ე წუთზე გავიდა, მისი ავტორი კი 24 წლის გურამ კაშიაა. სხვათა შორის, ქართველმა მცველმა ამ სეზონში მე-2, სულ ერედივიზიეში კი მე-5 გოლი გაიტანა. ამ მატჩში მოედანს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **გიორგი ჭანტურია, ვაკო ყაზაიშვილი** კი სათადარიგო იყო. „ვიტესი" 29 ქულით მე-6 ადგილზე გადავიდა. მატჩის შემდეგ კაშიამ თქვა: *„ჩვენთვის ძალზე ძნელი მატჩი იყო, „ჰერაკლესს" უშუალო კონკურენტად მივიჩნევთ, თანაც, ამ სტადიონზე ხელოვნური საფარია, რაც საქმეს გვირთულებდა. მხოლოდ ერთი მომენტი შეგვექმნა და გამოვიყენეთ კიდეც. სხვათა შორის, ამ გუნდს შარშანაც გავუტანე, მაგრამ მაშინ მწარედ დავმარცხდით და თან საკუთარ კარშიც ჩავჭერი ბურთი. ახლა კი მხოლოდ ერთხელ და სწორად გავიტანე, პროგრესი აშკარაა".*

სერია B აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყო, თუმცა ამ შაბათამდე 21 წლის ლევან მჭედლიძეს გოლი არ გაეტანა და ნავსი „გროსეტოსთან" მატჩში გატეხა, როცა საჯარიმოში კარგად შეაფასა სიტუაცია, მცველი მოატყუა და ახლო მანძილიდან გაათანაბრა. ეს შეხვედრა „ემპოლიმ" 2:2 დაასრულა, ქართველთა გუნდი (**ირაკლი შეყილაძეც** „ემპოლიში" ირიცხება) მე-15 ადგილზეა. მჭედლიძემ მოედანზე ამ სეზონში 501 წუთი დაყო.

გუშინ იმარჯვა ჩვენი ნაკრების ექსკაპიტან **კახა კალაძის** „ჯენოამ" - „ბოლონია" შინ 2:1 დაამარცხა. გენუელები 21 ქულით მეშვიდე ადგილზე არიან. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. *„ეს იყო ფანტასტიკური გამარჯვება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. პირველ ტაიმში ყველაფერი გამოგვდიოდა. ჯერ ნაადრევია ევროთასების საგ ზურზე ლაპარაკი, სიტუაცია ხშირად იცვლება",* - განუცხადა კახამ „კალჩო ნიუსს". „დატასპორტმა" ჩვენებურის თამაში 5,5 ბალით შეაფასა.

ცხადაძის გუნდმა ბაქოური დერბი მოიგო, „ინტერმა" „ნეფთჩის" უმასპინძლა, 2:1 მოუგო და ლიდერთან ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა. მატჩს სამი ქართველი გმირი ჰყავდა - მეკარე **გიორგი ლომაიამ** პენალტი მოიგერია, **ბაჩანა ცხადაძემ** 63-ე წუთზე გაათანაბრა, ხოლო **ილია კანდელაკმა** 71-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა. *„ქართველთა შემართებამ „ნეფთჩი" გააჩერა",* - ასე დაასათაურა მატჩის რეპორტაჟი „აზერიფუტბოლმა". სხვათა შორის, მეტისმეტი ემოციურობისთვის მსაჯმა ქართველი მწვრთნელი გააძევა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ნეფთჩის" თავკაცმა **ბუიუქაღა გაჯიევმა** ქართველ მწვრთნელს შემდეგი უთხრა: „სიონთან" თამაშის დროს ტექნიკური ზონიდან მეც გამაგდეს და ცხადაძეც. როგორც ასაკით უფროსმა, მინდა, ვურჩიო, ნუ იქნება ასეთი ემოციური. არ დაგავიწყდეს, რომ აზერბაიჯანში ხარ და არა საქართველოში. მოიქეცი ისე, რომ შენზე ცუდი არ თქვან. მაგალითად, მე რომ საქართველოში ვმუშაობდე, თავს ასე მოქცევის უფლებას არ მივცემდი". თავად ცხადაძემ კი თქვა: *„შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია, უბრალოდ, სამჯერ გადავედი მოედანზე, რის გამოც გამაძევეს კიდეც. იმედია, დისკვალიფიკაცია ხანგრძლივი არ იქნება. თამაში კი ნამდვილად ევროპული ხარისხის იყო. გადამწყვეტი ამ შეხვედრაში პენალტი გამოდგა, ლომაიას გმირობამ თამაში საჩვენოდ შემოატრიალა".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

გიორგი ლომაიამ პენალტი მოიგერია

კახა ცხადაძე (მარცხნივ) და ბუიუქაღა გაჯიევი

გიორგი ჭანტურია (მარჯვნივ)

გურამ კაშიას (37) გოლს ულოცავენ

ლევან მჭედლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

სილვამ სიჯი ლიდერად დატოვა

ლიდერი უცვლელია — „მანჩესტერ სიტის“ „არსენალთან“ ნამდვილი გამოცდის ჩაბარება მოუხდა, მაგრამ თავი არ შეურცხვენია. შეხვედრა პიველ ტაიმში უფრო „ჩაკეტილი“ იყო და მომენტების სიუხვით არ გამოირჩეოდა, მეორეში, განსაკუთრებით კი **დავიდ სილვას** გოლის შემდეგ „გაიხსნა“ და მაყურებელს სეირი ნამდვილად არ დაკლებია.

სახიფათო მომენტები ორივე გუნდმა შექმნა. არსენალელმა **რობინ ვან პერსიმ** გოლიც გაიტანა, მაგრამ ოფსაიდი აუწიეს. მოგეხსენებათ, მიმდინარე სეზონში „მეთოფეები“ მაშინ იგებენ, როდესაც ვან პერსის გოლი გააქვს...

წინა ორშაბათს, „ჩელსისთან“ დამარცხების შემდეგ, ამ შეხვედრაში გამარჯვება **რობერტო მანჩინის** გუნდისთვის შესანიშნავი შედეგი იყო და არა მარტო ცხრილში ქულების დამატების, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ისეწერა. ერთმანეთის პირისპირ ხომ უელსის ნაკრების გარდაცვლილი მწვრთნელის, **გარი სპიდის** ყოფილი გუნდი და მისი სამშობლოს, უელსის წარმომადგენლები იდგნენ. ამიტომაც ხვდებოდა ბურთი ხან ძელს და ხანაც მიზანს სანტიმეტრებით ცდებოდა.

„ფულჰემს“ „ბოლტონთან“ შეხვედრაში არაფერი ეტყობოდა, რომ გასული კვირის შუაში, ევროლიგის მატჩი ჰქონდა ნათამაშები. თითქოს, წესით, დაღლილი უნდა ყოფილიყო. „ბოლტონის“ მდგომარეობა კი სავალალოა. გუნდის მწვრთნელმა, **ოუენ კოილმა** მატჩის შემდეგ განაცხადა:

„მწვრთნელი გახლავართ და გუნდის შედეგებზე პასუხისმგებლობას სრულად ვიღებ. ხალხის უკმაყოფილება ჩემთვის სრულიად გასაგებია. თავადაც იმედგაცრუებული გახლავართ. ფეხბურთი ისეთი სფეროა, მის შესახებ ყველას თავისი მოსაზრება აქვს. უკლებლივ ყველა კრიტიკას მივიღებ, ერთადერთი, პირად შეურაცხყოფაზე ნუ გადმოვლენ“.

„ევერტონს“ მოწინააღმდეგის კართან, როგორც იქნა გაუღიმა ბედმა — „ნორვიჩთან“ შეხვედრაში, მშობლიურ „გუდისონ პარკზე“ მარცხდებოდა, მაგრამ 81-ე წუთზე, **როისტონ დრენტეს** დარტყმული **ლეონ ოსმანს** მოხვდა, მიმართულება ოდნავ იცვალა და კარში შევარდა. აღსანიშნავია, რომ ლივერპულელებმა პირველ ტაიმში **გრანტ ჰოლტს** დაცვის უგერგილო თამაშის გამო გაატანინეს.

ცნობისათვის: „ნორვიჩმა“ ქალაქ ლივერპულიდან ორ თვეში უკვე მეორედ წაიღო ქულა. მატჩის შემდეგ, სტუმართა შოტლანდიელ მწვრთნელს, **ჰოლ ლამბერტს** უპირველეს ყოვლისა მატჩის მინურულს დასანანი გოლის გაშვებაზე ჰკითხეს. მან თქვა: *„სამწუხაროდ, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მაგ მომენტში სხვაგან ვიყურებოდი. რაც შეეხება მთლიანად მატჩს, „გუდისონ პარკზე“ თამაში ძნელია. აქედან ქულის წაღება დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. დღეს, ჩვენ, როდესაც საჭირო იყო მთელი ენერგიით ვიცავდით თავს, როდესაც საჭირო იყო, ორთაბრძოლებში შევდიოდით, მაგრამ მასპინძლები მაინც ახერხებდნენ მუდმივ დაძაბულობაში ვყოლოდით“.*

„ბლექბერნმა“ „ვესტ ბრომვიჩთან“, შინ, **პიტერ ოდემვინგეს** მიერ 89-ე წუთზე გაშვებული გოლით წააგო და მწვრთნელ **სტივ კინს** კლუბში მუშაობის ერთი წლისთავი ჩაუშხამა.

„დღეს ბევრმა ადამიანმა დამიჭირა მხარი, გამამხნევა და დამაიმედა, რაც ძალიან მესიამოვნა, მაგრამ მე „ბლექბერნის“ მწვრთნელად იმიტომ კი არ ვმუშაობ, რომ მხარდაჭერის სიტყვები მოვისმინო. შედეგებს უნდა ვაღწევდე“ — თქვა მატჩის შემდეგ კინმა.

ცნობისათვის: ერთ-ერთი მათგანი, ვინც კინისადმი სიმპათია გამოხატა და მხარი დაუჭირა, „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელი, **როი ჰოჯსონი** იყო.

„სტოკ სიტიზე“ კი ქების მეტი რა ითქმის. გუნდმა, რომელმაც წინა ტურში „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ მოუგო, ამჯერად, სტუმრად, „ვულვერჰემპტონიც“ დააყოლა და... პრემიერლიგაში ზედიზედ მეოთხე მატჩში გაიმარჯვა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მარტივად მოუგო „ქუინზ პარკ რეინჯერსს“. თამაშის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული **უეინ რუნიმ** მიმდინარე ჩემპიონატში თავისი 12-ე გოლი რომ გაიტანა. ამის შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებმა ბლომად შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან, თუმცა მეორე ტაიმში **მაიკლ ქერიკმა** მაინც მოახერხა მეორე გოლის გატანა. ცნობისათვის: ქერიკს თითქმის ორი წელიწადი არ გაეტანა.

„ლივერპულმა“ ბირმინგემის „ვილა პარკზე“ მიმდინარე სეზონში სტუმრად მეხუთე გამარჯვება ჩაინერა. მერსისაიდელთა გამარჯვების შემოქმედი გახლდათ **კრეიგ ბელამი**, რომელმაც ოთხწუთიანი მონაკვეთში ერთი თვითონ გაიტანა, მეორე კი **მარტინ შკრტელს** გაატანინა. „ასტონ ვილას“, თავის მხრივ, ერთადერთი სახიფათო მომენტი ჰქონდა — **შარლ ნ'ზოგბიამ** კინალამ შეამცირა ანგარიში სხვაობა.

შეცვლაზე შესული **რომან პავლიუჩენკოს** მშვიდად შესრულებულმა დარტყმამ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მესამე ადგილზე გადაიყვანა. ამ შეხვედრაში უპირატესობას ჩრდილოლონდონელები ფლობდნენ, რაც **რაფაელ ვან დერ ვაარტის** და **სანდროს** ხელიდან გაშვებული მომენტებითაც გამოიხატა. „შავმა კატებმა“ **სებასტიან ლარსონისა** და **დევიდ ვუგანის** მომენტებით უპასუხეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მეკარე **ბრედ ფრიდელმა** ივაჟკაცა.

ბლექბერნი (4-4-1-1): რობინსონი – ლოუი, სამბა, ს. დანი, პედერსენი – ფორმიცა, დ. დანი (62. ჰენლი), ნზონზი, ვუკაცევიჩი (62. რობერგსი) – როჩინა (79. გუდვილი) - იაკუბუ

ვესტ ბრომვიჩი (4-4-2): ფოსტერი – რიდი, მაკოლი, ოლსონი, შორი – ჯ. მორისონი (90. ტომასი), მუულმბუ, შარნერი (81. დორანსი), ბრანტი – ოდემვინგე (90. დოუსონი), ლონგი

გოლები: 0:1 მორისონი (52), 1:1 ს. დანი (72), 1:2 ოდემვინგე (89)

გაფრთხილება: პედერსენი - შარნერი

კუთხური: 3-7; **ჯარიმა:** 17-12; **კარში დარტყმა:** 10-10 (7-4); **თამაშგარე:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 33%-67%

მაყურებელი: 24 000

ევერტონი-ნორვიჩი 1:1

ევერტონი (4-4-1-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჰეიტინგა, ჯეგიელკა, ბეინესი – გუეიე (72. დრენტე), ფ. ნევილი, ფელაინი, ოსმანი – ტ. კეჰილი (61. სტრაკულურსი), საა (88. მაკილი)

ნორვიჩი (4-4-1-1): რადი – ნაფტონი, მარტინი, უიტბრედი, ტიერნი – კროფტსი, ფოქსი, ჰულაპანი (74. ბ. ჯონსონი), სარმენი – ს. მორისონი (79. უილბრაჰამი), ჰოლტი

გოლები: 0:1 ჰოლტი (28), 1:1 ოსმანი (81)

გაფრთხილება: ნაფტონი – ფ. ნევილი

კუთხური: 13-0; **ჯარიმა:** 16-15; **კარში დარტყმა:** 19-7 (8-2); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

მაყურებელი: 31 004

ფულუემი-ბოლტონი 2:0

ფულჰემი (4-4-2): სტოკდეილი – ბეირდი, სენდეროსი, ჰანგელანდი, რიისე – რუის გონსალესი, მერფი, ეტუმუ, დემპსი – ე. ჯონსონი, დემბელე

ბოლტონი (4-4-2): იაასკელაინენი – ბოიატა (46. სტეინსონი), გ. კეჰილი, ნაითი, ალოონსო – მ. დევისი, მუამბა, რიო-კოკერი, პრეტლი (46. იგლზი) – კ. დევისი (56. ნ'გოგი), ალანიჩი

გოლები: 1:0 დემპსი (33), 2:0 რუის გონსალესი (34)

გაფრთხილება: მერფი – რიო-კოკერი, მუამბა, სტეინსონი

კუთხური: 8-4; **ჯარიმა:** 16-12; **კარში დარტყმა:** 11-15 (4-7); **თამაშგარე:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 25 643

ნიუკასლი-სუონსი 0:0

ნიუკასლი (4-4-2): კრული – სიმპსონი, პერჩი, კოლოჩინი, სენტონი – ობერტანი (82. შ. ამეობი), კაბაიე, ტიოტე (82. ვუკაკიჩი), ხონასი – ბესტი (71. ს. ამეობი), ბა

სუონსი (4-5- 1): ვორში – ე. რიჩარდსი, უილიამსი, ფულკერი, ნ. ტეილორი – რუტლიჯი, ბრიტონი, ალენი, გოუერი (46. ოგუსტეინი), სინკლერი (77. დაიერი) - გრემი

გაფრთხილება: კაბაიე – ე. რიჩარდსი

კუთხური: 9-1; **ჯარიმა:** 14-12; **კარში დარტყმა:** 14-4 (5-0); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

მაყურებელი: 51 767

ვულვერჰემპტონი-სტოკი 1:2

ვულვერჰემპტონი (4-4-2): ჰენესი – ზუბარი, რ. ჯონსონი, ბერა, უორდი – ჯერვისი, მილიაში (75. გუედიოურა), ჰენრი, ჰანტი (79. ჰემილი) – დოილი (75. ებანკს-ბლეიეი), ფლეტჩერი

სტოკი (4-4-2): სიორენსენი – ვუდგეიტი (19. პენანტი), შოუკროსი, ჰუთი, უილსონი – შოტონი, უიტჰედი, უილენი (83. პაალასიოსი), ზზერინგტონი (87. ფულერი) – უოლტერსი, კრაუჩი

გოლები: 1:0 ჰანტი (17-პენ), 1:1 დოილი (58 ს.კ.), 1:2 კრაუჩი (70)

გაფრთხილება: მილიაში, ბერა – ვუდგეიტი, შოუკროსი, უიტჰედი

კუთხური: 7-5; **ჯარიმა:** 17-16; **კარში დარტყმა:** 7-6 (3-4); **თამაშგარე:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

მაყურებელი: 24 684

უიგანი-ჩელსი 1:1

უიგანი (3-4-3): აბდულა – ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა – სტანი, მაკარტი, დიამე, დ. ჯონსი (72. დი სანტმ) – გომესი, სემონი (73. როდალეგა), მოზესი

ჩელსი (4-3-3): ჩერნი – ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული – მეირელუში, რომეუ (46. ჯალუ), ლემპარდი – სტარიჯი (80. მალუდა), დროგბა, მატა (66. მიკელი)

გოლები: 0:1 სტარიჯი (59), 1:1 გომესი (88)

კუთხური: 7-5; **ჯარიმა:** 7-11; **კარში დარტყმა:** 9-8 (4-3); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

მაყურებელი: 18 320

ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნ 0:2

ქუინზ პარკი (4-4-2): ჩერნი – ლ. იანგი, ვებიდონი, კონოლი, ტრაორე – მეკი, ბარტონი, ფაურლინი, რაიტ-ფილიპსი (65. ტაარაბტი) – ბოთროიდი (75. ჰილი), ჰელგიუსონი (65. დ. კემბელი)

მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2): დე ხეა – სმოლინგი, ევანსი, რ. ფერდინანდი, ევრა – ვალენსია, ფ. ჯონსი, ქერიკი, ნანი (88. ე. იანგი) – რუნი (78. რუნი), უელბეკი (63. ერნანდესი)

გოლები: 0:1 რუნი (1), 0:2 ქერიკი (56)

გაფრთხილება: ვებიდონი – რ. ფერდინანდი, ფ. ჯონსი

კუთხური: 5-10; ; **ჯარიმა:** 12-7; **კარში დარტყმა:** 8-15 (2-10); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

მაყურებელი: 18 033

ასტონ ვილა-ლივერპული 0:2

ასტონ ვილა (4-4-2): გუზანი – ჰატონი, კოლინზი, დანი, უორნოკი – ოლარიატინო, დელფი (80. ვაიმანი), ს. პეტროვი, ნ'ზოგბია – დელფუნესსი, ჰესკი (57. ბენანი)

ლივერპული (4-2-3-1): რეინა — გ. ჯონსონი, შკრტელი, აგერი, ენრიკე – ჰენდერსონი, ადამი – დაუნნეგი, შილეი (83. კარაგერი), ბელამი (88. კუიტი) – სუარესი (74. ქეროლი)

გოლები: 0:1 ბელამი (11), 0:2 შკრტელი (15)

გაფრთხილება: ნ'ზოგბია – ადამი, ბელამი

კუთხური: 4-10; **ჯარიმა:** 21-6; **კარში დარტყმა:** 10-13 (4-8); **თამაშგარე:** 1-5; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მაყურებელი: 37 460

ბოტენჰემი-სანდერლენდი 1:0

ტოტენჰემი (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, გალასი, კინგი, ასუ-ეკოტო – ლენონი (27. პაველიუჩენკო), პარკერი, სანდრო (84. ლივერმორი), მოდრიჩი – ვან დერ ვაარტი (89. როუზი), ადებაიორი

სანდერლენდი (4-4-2): ვესტგუდი – ო'შა, ბრემბლი, ბრაუნი, ბერდსლი (69. მაკლინი) – ლარსონი, ვუგანი, კოლბეკი (75. გარდნერი), რიჩარდსონი – უიჰემი (46. ბენდტნერი), სესენონი

გოლი: 1:0 პაველიუჩენკო (61)

გაფრთხილება: ასუ-ეკოტო – რიჩარდსონი, ვუგანი

კუთხური: 6-0; **ჯარიმა:** 11-15; **კარში დარტყმა:** 10-7 (4-4); **თამაშგარე:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

მაყურებელი: 36 021

მანჩესტერ სიტი-არსენალი 1:0

მანჩესტერ სიტი (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, კ. ტურე, კომპანი, საბალეტა – სილვა, ბერი, ი. ტურე (85. დე იონგი), ნასრი (85. ჯეკო) – აგუერო, ბალოტელი (72. მილნერი)

არსენალი (4-4-2): შჩესნი – დჯურუ (47. მიგელი), კოშელნი, მერტეზაკერი (82. შამახი), ვერმაელენი – უოლკოტი (69. არშავინი), არტეტა, სონგი, ჟერვინიო – რემსი, ვან პერსი

გოლი: 1:0 სილვა (53)

გაფრთხილება: ბერი – სონგი, კოშელნი, არტეტა

კუთხური: 4-6; **ჯარიმა:** 14-16; **კარში დარტყმა:** 13-9 (9-6); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

მაყურებელი: 47 303

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სიტი	16	13	2	1	50-15	41
2. იუნაიტედი	16	12	3	1	37-14	39
3. ტოტენჰემი	15	11	1	3	31-18	34
4. ჩელსი	16	10	2	4	34-19	32
5. არსენალი	16	9	2	5	31-24	29
6. ლივერპული	16	8	5	3	20-13	29
7. ნიუკასლი	16	7	6	3	21-19	27
8. სტოკი	16	7	3	6	18-25	24
9. ნორვიჩი	16	5	5	6	25-29	20
10. ასტონ ვილა	16	4	7	5	18-21	19
11. ფულჰემი	16	4	6	6	18-18	18
12. სუონსი	16	4	6	6	16-20	18
13. ვესტ ბრომვიჩი	16	5	3	8	16-24	18
14. ევერტონი	15	5	2	8	16-19	17
15. ქუინზ პარკი	16	4	4	8	15-28	16
16. სანდერლენდი	16	3	5	8	18-19	14
17. ვულვზი	16	4	2	10	17-30	14
18. უიგანი	16	3	4	9	15-30	13
19. ბლეკბერნი	16	2	4	10	23-36	10
20. ბოლტონი	16	3	0	13	20-38	9

ბომბარდირები: 15 — ვან პერსი (არსენალი); 12 – რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 - აგუერო (სიტი), ბა (ნიუკასლი); 10 - ჯეკო (სიტი); 9 - იაკუბუ (ბლეკბერნი); 8 — ბალოტელი (სიტი), ადებაიორი (ტოტენჰემი), სტარიჯი (ჩელსი).

ინგლისი. ჩემპიონატი. XXII ტური

ბლეკპული-უოტფორდი 0:0

ბრაიტონი-ბარნლი 0:1

გოლები: 0:1 ტრაპიერი (32)

ბრისტოლი-ნოტინგემი 0:0

კარდიფი-მიდლსბრო 2:3

გოლები: 0:1 ოგბეჩე (15), 1:1 ტერნერი (23), 2:1 გუნარსონი (44), 2:2 მაკდონალდი (61), 2:3 ჰარუნი (76)

დონკასტერი-ლესტერი 2:1

გოლები: 0:1 ნაჯენტი (38), 1:1 შარპი (63), 2:1 შარპი (65)

ჰალი-მილუოლი 2:0

გოლები: 1:0 სმიტი (54 ს.კ.), 2:0 კორენი (80)

იფსვიჩი-დერბი 1:0

გოლები: 1:0 ენდრიუსი (46)

ლიდსი-რედინგი 0:1

გოლები: 0:1 ჩერჩი (2)

პიტერბორო-ქოვენთრი 1:0

გოლები: 1:0 სინკლერი (66)

ვესტ ჰემი-ბარნლი 1:0

გოლები: 1:0 დიოპი (6)

პორტსმუთი-საუთჰემპტონი 1:1

გოლები: 0:1 ლამბერტი (63), 1:1 უორდი (84)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საუთჰემპტონი	22	13	5	4	45-24	44
2. ვესტ ჰემი	22	13	4	5	37-20	43
3. მიდლსბრო	22	11	8	3	28-19	41
4. ჰალი	22	12	3	7	26-22	39
5. კარდიფი	22	10	8	4	36-25	38
6. ლიდსი	22	10	5	7	36-30	35
7. რედინგი	22	9	6	7	27-22	33
8. ბლეკპული	22	8	8	6	33-27	32
9. ბრაიტონი	22	9	5	8	23-23	32
10. ლესტერი	22	8	6	8	29-25	30
11. ბარნლი	22	9	3	10	32-31	30
12. კრ. პალასი	21	8	6	7	21-20	30
13. ბარნსლი	22	8	6	8	30-32	30
14. ბირმინგემი	19	8	5	6	26-22	29
15. პიტერბორო	22	8	4	10	41-39	28
16. დერბი	22	8	4	10	26-32	28
17. პორტსმუთი	21	7	6	8	24-23	27
18. უოტფორდი	22	6	8	8	22-30	26
19. იფსვიჩი	21	8	2	11	32-42	26
20. მილუოლი	22	5	8	9	23-26	23
21. ბრისტოლი	22	5	6	11	21-33	21
სევილია (4-4-1-1): ვარასი - კასერესი, ფასიო, სპაჰიჩი, ნავარო (81. არმენტეროსი) - ხესუს ნავასი, მედელი, რაკიტიჩი (67. კამპანია), დელ მორალი - ტროხოვსკი (45. კანუტე) - ნეგრედო.

რეალი (4-2-3-1): კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - დიარა, ჩაბი ალონსო - დი მარია (66. ხედირა), კალეხონი (45. ალბიოლი), რონალდო - ბენზემა (85. ალთინტოპი).

გოლები: 0:1 რონალდო (10), 0:2 კალეხონი (37), 0:3 რონალდო (41), 0:4 დი მარია (66), 1:4 ნავასი (69), 1:5 რონალდო (85-პენ), 1:6 ალთინტოპი (89), 2:6 ნეგრედო (91)

გაფრთხილება: რაკიტიჩი, მედელი, კანუტე - პეპე, რამოსი, არბელოა, დიარა

გაძევება: პეპე (44), დელ მორალი (74)

კუთხური: 9-1; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 19-17 (6-10); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

მაყურებელი: 40 000

ათლეტიკო-ბეტისი 0:2

ათლეტიკო (4-3-3): კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, დომინგესი, ფილიპე ლუიზი - გაბი (82. სალვიო), ასუნსაო, არდა თურანი (69. კოკე) - ადრიან ლოპესი, ფალკაო, დიეგო (69. რეიესი).

ბეტისი (4-3-3): კასტო - ისიდორო, ამაია, დორადო, ნაჩო - ბენატი (71. სანტა კრუსი), ირინეი, კანიასი - პოსუელო, რ. კასტრო (85. მოლინა), ხ. პერეირა (63. მონტერო).

გოლები: 0:1 პოსუელო (54), 0:2 სანტა კრუსი (90)

გაფრთხილება: დომინგესი, ასუნსაო, გაბი - კანიასი, პოსუელო, ირინეი, ნაჩო

კუთხური: 13-3; **ჯარიმა:** 10-15; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 31-6 (9-4); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

მაყურებელი: 32 000

გრანადა-ლევანტე 2:1

გრანადა (4-2-3-1): რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, დიახატე, სიკეირა - მ. რიკო, ფ. რიკო - უჩე (56. ბენიტესი), აბელი (70. მარტინში), ხარა (80. ხაიმე) - იგჰალო.

ლევანტე (4-2-3-1): მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი (58. რ. სუარესი), ფარინოსი - ვალდო, ბარკერო (70. იბორა), ხუანლუ (75. ელ ჟარი) - კონე.

გოლები: 1:0 სიკეირა (35), 2:0 აბელი (45), 2:1 კონე (60)

გაფრთხილება: ხარა - ნანო, ხუანფრანი, ვენტა, ფარინოსი, ბარკერო

კუთხური: 4-6; **ჯარიმა:** 10-8; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 17-13 (6-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 18 000

ოსასუნა-ვილიარეალი 2:1

ოსასუნა (4-3-3): ა. ფერნანდესი - დამია, სერხიო, ფლანიო, სატრუსტეგი - პუნიალი (72. სეხუდო), რ. გარსია (34. ტიმორი), ნეკუნამი - იბრაჰიმა, ნინო (69. ლეკიჩი), ლამა.

ვილიარეალი (4-2-3-1): დ. ლოპესი - მარიო, საპატა, მუსაჩიო (84. ნილმარი), ორიოლი - სენა (82. გონსალო), ბრუნო - კანი (64. კასტელანი), ბ. ვალერო, კამუნიასი - მ. რუბენი.

გოლები: 0:1 მ. რუბენი (63), 1:1 იბრაჰიმა (74), 2:1 სერხიო (81)

გაფრთხილება: სერხიო, ტიმორი - კამუნიასი, რუბენი

კუთხური: 7-3; **ჯარიმა:** 22-14; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 19-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 17 000

რასინგი-სოსიედადი 0:0

რასინგი (4-2-3-1): ტონიო - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო, სისმა - კოლსა (40. ციოლისი), დიოპი - არანა, ადრიანი (68. აკოსტა), მუნიტისი (58. კენედი) - სტუანი.

სოსიედადი (4-2-3-1): ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, ი. მარტინესი, მ. გონსალესი - ზურუტუზა, არანბურუ (59. მარიგა) - ესტრადა, ველა (82. იფრანი), გრიზმანი - აგირეჩე (72. ჩაბი პრიეტო).

გაძევება: ი. მარტინესი (53)

გაფრთხილება: სისმა, სუნიგა, სტუანი, ადრიანი - ბრავო, ი. მარტინესი, დემიდოვი

კუთხური: 8-3; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 11-9 (4-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 15 000

ვალენსია-მალაგა 2:0

ვალენსია (4-2-3-1): დიეგო ალვეში - მიგელი, რამი, რუისი, მატიო - ალბელდა, ბანეგა (83. პარეხო) - ფეგული (78. ჰ. ერნანდესი), ჟონასი (89. პიატი), ალბა - სოლდადო.

მალაგა (4-4-2): კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, მორეალი - ხოაკინი, ტულალანი, კასორლა, ისკო (76. დუდა) - რონდონი (76. სება ფერნანდესი), ხუანმი (65. ვან ნისტელროი).

გოლები: 1:0 სოლდადო (36), 2:0 სოლდადო (61)

გაფრთხილება: ბანეგა, ალბელდა, მიგელი, ერნანდესი - მატეისენი, დემიკელისი

კუთხური: 1-5; **ჯარიმა:** 18-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-8 (6-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 40 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	16	13	1	2	56-15	40
2. ბარსელონა	16	11	4	1	50-8	37
3. ვალენსია	16	10	3	3	26-16	33
4. ლევანტე	16	9	2	5	25-19	29
5. ოსასუნა	16	6	7	3	21-28	25
6. სევილია	16	6	6	4	18-17	24
7. მალაგა	16	7	3	6	20-22	24
8. ესპანიოლი	16	7	2	7	17-20	23
9. ბილბაო	16	5	7	4	23-19	22
10. ათლეტიკო	16	5	4	7	23-27	19
11. ბეტისი	16	6	1	9	17-22	19
12. ხეტაფე	16	5	4	7	17-23	19
13. გრანადა	16	5	4	7	10-16	19
14. მალიორკა	16	4	6	6	15-22	18
15. სოსიედადი	16	4	5	7	16-23	17
16. ვალეკანო	16	4	4	8	17-25	16
17. ვილიარეალი	16	3	6	7	13-23	15
18. სპორტინგი	16	4	3	9	16-27	15
19. რასინგი	16	2	8	6	11-21	14
20. სარაგოსა	16	2	4	10	13-31	10

ბომბარდირები: 20 - კრისტიანო რონალდო (რეალი); 17 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 11 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 9 - რადამელ ფალკაო (ათლეტიკო).

სეგუნდა დივიზიონი

XVIII ტური

ელჩე-ალკორკონი 6:0

გოლები: 1:0 ანხელი (6), 2:0 პალანკა (13), 3:0 ბილე ნილსენი (24), 4:0 ანხელი (31), 5:0 ანხელი (50-პენ), 6:0 ჩუმტრა (64)

ვალიადოლიდი-ბარსელონა II 1:0

გოლი: 1:0 ო. გონსალესი (56)

კორდობა-უელვა 0:0

ხირონა-ხიმნასტიკი 3:2

გოლები: 1:0 კორომინასი (4), 1:1 ლუნა (41), 2:1 ბენხა (51), 2:2 ლონგასი (59), 3:2 ხ. კასტრო (65)

მურსია-ალკოიანო 3:2

გოლები: 0:1 ა. გარსია (47), 0:2 ა. გარსია (77), 1:2 ბორხა (78), 2:2 ჯ. გარსია (83), 3:2 სუტილი (90)

გაძევება: როლდანი (33. ალკოიანო)

სელტა-გვადალახარა 2:0

გოლები: 1:0 ორელანა (18), 2:0 დ. როდრიგესი (36)

ნუმანსია-ერკულესი 2:1

გოლები: 0:1 კალვო (7), 1:1 ლაგო (17), 2:1 დიას დე სერიო (90)

ხერესი-კარტახენა 3:0

გოლები: 1:0 კაპი (7), 2:0 ი. ველესი (30), 3:0 ველესი (73)

უესკა-ვილიარეალი II 1:0

გოლები: 1:0 კამაჩო (63-პენ)

გაძევება: კიკო (62. ვილიარეალი), სორიბასი (89. ვილიარეალი)

ლას პალმასი-დეპორტივო 0:1

გოლი: 0:1 გუარდადო (48-პენ)

ალმერია-საბადელი 3:0

გოლები: 1:0 გოიტომი (34), 2:0 გოიტომი (45), 3:0 ულოა (84)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ელჩე	18	10	4	4	32-16	34
2. დეპორტივო	18	10	3	5	29-22	33
3. ერკულესი	18	10	3	5	19-13	33
4. ვალიადოლიდი	18	8	8	2	25-16	32
5. ალმერია	18	8	7	3	27-18	31
6. სელტა	18	9	3	6	31-19	30
7. კორდობა	18	8	6	4	19-13	30
8. მურსია	18	7	5	6	23-23	26
9. გვადალახარა	18	7	5	6	20-24	26
10. ნუმანსია	18	6	7	5	21-19	25
11. ალკორკონი	18	7	4	7	19-19	25
12. ლას პალმასი	18	6	6	6	22-22	24
13. საბადელი	18	6	6	6	22-32	24
14. ბარსელონა II	18	6	5	7	28-26	23
15. უელვა	18	5	5	8	19-21	20
16. ხერესი	18	5	5	8	19-23	20
17. ალკოიანო	18	4	7	7	19-26	19
18. ვილიარეალი II	18	4	6	8	26-32	18
19. უესკა	18	4	6	8	22-28	18
20. ხირონა	18	3	7	8	22-30	16
21. ხიმნასტიკი	18	2	7	9	16-24	13
22. კარტახენა	18	2	7	9	9-23	13

ბომბარდირები: 12 - ულოა (ალმერია); 10 - ხოსელუ (ვილიარეალი), კამაჩო (უესკა); 9 - ანხელი (ელჩე); 8 - პაუელი (ხიმნასტიკი).

● ესპანეთი. ლა ლიგა. XVI ტური

თეთრი და წითელი, 2011 რეალისაა

წყალქვეშა ნავი საბოლოოდ ჩაიძირა, ათლეტიკოში ღრმა კრიზისია

რონალდომ სევილია გაამწარა

„ლოს გლანკოსმა" (ანუ თეთრების გუნდმა) 2011 წელი ჩემპიონატის ლიდერად დაასრულა. „სევილიას" თითქოს „რეალთან" მიმართებაში „დეჟა ვუ" აქვს - ანდალუსიური კლუბი კვლავ დიდი ანგარიშით განადგურდა. არადა, აქამდე **მარსელინოს** გუნდს 2 ბურთით ნაკლები ჰქონდა გაშვებული, ვიდრე „რეალს", ახლა კი ერთბაშად 6 გაუშვა. „თეთრებიო" კი ვთქვით, მაგრამ „რეალი" „სანჩეს პისხუანზე" სათადარიგო, წითელი ფორმით გავიდა, **კრისტიანო რონალდომ** სრულად გამოისყიდა ჩავარდნა კლასიკოზე - **ხავი ვარასის** კარში ჰეთ თრიკი შეასრულა (განსაკუთრებით, ერთი გოლი იყო ბრწყინვალე), თუმცა არა ნაკლებ (თუ მეტად არა) **ანხელ დი მარიამ** გაიბრწყინა, რომლის ანგარიშზე გოლი, ორი საგოლე პასი და დიდებული თამაშია.

„პიჩიჩისთვის" ბრძოლაში რონალდომ სამი გოლით გაუსწრო **ლეო მესის**, რომელსაც გოლები დედამინის მეორე მხარეს, იაპონიაში გაჰქონდა (და მსოფლიოს საკლუბო პირველობის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც დაიმსახურა). მასპინძელთა დაცვა პირველად დი მარიამ გაჭრა. თუკი **ბენზემასთან** გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მეკარემ იყოჩაღა, ვარასმა დი მარიას პასით გაჭრილ რონალდოს ვერაფერი მოუხერხა. ამის შემდეგ **იკერ კასილიასის** დროც დადგა, მან სასწაულებრივ აუღო **მანუელ მორალს** და არც **პიოტრ ტროხოვსკის** გაატანინა. შემდეგ ორჯერ თანამსაჯის ალამმა იხსნა „რეალი". ასე რომ, გარდამტეხი მეორე გოლი იყო, რომელიც **ხოსე კალეხონმა** კვლავ დი მარიას პასით გაიტანა. 0:2 მალე 0:3 გახდა - რონალდომ დაახლოებით 25 მეტრიდან გაიტანა.

მეორე ტაიმში ანხელ დი მარიამ თავადვე გაიტანა, რასაც **ხესუს ნავასმა** ერთით უპასუხა, მაგრამ იმ დღეს „რეალის" გაჩერება შეუძლებელი იყო - რონალდომ (პენალტით) და **ჰამით ალთინტოპმა** მთლად მოუთავეს საქმე „სევილიას", რომელმაც **ნეგრედოს** გოლითღა უპასუხა „სამეფო კლუბს" - 2:6.

კრისტიანო რონალდო: *„ჩვენ მივაღწიეთ დასახულ მიზანს - შობაზე უახლოეს მდევართან 3-ქულიანი უპირატესობით გავდივართ. საერთოდ არ მაინტერესებს, ხალხი რას ამბობს ჩემზე. მხოლოდ საკუთარ თამაშზე და გუნდის ინტერესებზე ვიქრობ, დღეს ყვალაფერი კარგი იყო".*

ჟოზე მოურინიო: *„ჩვენ ძალიან კარგი გოლკიპერი გვყავს და ბრწყინვალე ფორვარდები, რომელთაც ყველა შანსი გამოიყენეს".*

როდესაც ამ მიმოხილვას წაიკითხავთ, შესაძლოა, პრიმერას რამდენიმე მწვრთნელი აღარ იყოს თანამდებობაზე. მაგალითად, მადრიდის „ატლეტიკოს" დამრიგებელი **გრეგორიო მანსანო**, „ვილიარეალის" მწვრთნელი **ხუან კარლოს გარიდო** და „სარაგოსას" თავკაცი **ხავიერ აგირე**.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

მომდევნო ტური

8 იანვარი: ბეირა მარი-ბრაგა, მარიტიმუ-ოლანენშე, სპორტინგი-პორტუ, რიუ ავე-ფერეირა, სეტუბალი-აკადემიკა, ლეირია-ბენფიკა, ჟილ ვისენტე-ნასიონალი, გიმარაეში-ფეირენშე.

პორტუგალია

ლიგა საგრეში. XIII ტური

ბენფიკა-რიუ ავე 5:1

გოლები: 0:1 აცუ (25), 1:1 კარდოსო (34-პენ), 2:1 ნოლიტო (36), 3:1 სავიოლა (45), 4:1 გარაი (48), 5:1 ნოლიტო (72)

გიმარაეში-ჟილ ვისენტე 1:1

გოლები: 1:0 ნუნუ ასისი (18), 1:1 ნდიაე (44 ს.კ.)

პორტუ-მარიტიმუ 2:0

გოლები: 1:0 კ. როდრიგესი (81), 2:0 ბრიგელი (83 ს.კ.)

გაძევება: რობერეუ (41. მარიტიმუ)

ფეირენშე-ლეირია 2:1

გოლები: 1:0 ბუვალი (21), 2:0 ბუვალი (60), 2:1 მორაეში (70)

ნასიონალი-სეტუბალი 1:1

გოლები: 0:1 რ. ლოპესი (22), 1:1 კლაუდემირი (77-პენ)

გაძევება: ლეალი (90. სეტუბალი)

ფერეირა-ბეირა მარი 0:3

გოლები: 0:1 კრისტიანო (13), 0:2 ბალბოა (40), 0:3 დუდუ (90)

აკადემიკა-სპორტინგი 1:1

გოლები: 1:0 ედერი (28), 1:1 ელიაში (80)

გაძევება: ელიაში (89)

ოლანენშე-ბრაგა დღეს, 00:15

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	13	10	3	0	32-8	33
2. ბენფიკა	13	10	3	0	30-11	33
3. სპორტინგი	13	8	3	2	26-12	27
4. ბრაგა	12	6	4	2	20-9	22
5. მარიტიმუ	13	6	4	3	18-16	22
6. აკადემიკა	13	5	2	6	17-17	17
7. ბეირა მარი	13	4	4	5	11-8	16
8. ჟილ ვისენტე	13	3	6	4	13-20	15
9. გიმარაეში	13	4	2	7	18-16	14
10. ოლანენშე	12	3	5	4	11-13	14
11. ფეირენშე	13	3	5	5	11-19	14
12. სეტუბალი	13	3	4	6	9-19	13
13. ლეირია	13	4	0	9	14-23	12
14. ნასიონალი	13	3	3	7	9-24	12
15. რიუ ავე	13	3	2	8	12-19	11
16. ფერეირა	13	2	2	9	13-30	8

ბომბარდირები: 9 - დიავარა (მარიტიმუ); 8 - ედგარ სილვა (გიმარაეში), კარდოსო (ბენფიკა); 7- ნოლიტო (ბენფიკა), ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი), ჰალკი (პორტუ); 6 - კლებერი (პორტუ), ლიმა (ბრაგა).

● მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ფინალი

ბარსას ტრიუმფი

მხოლოდ ოცნება გამარჯვებაზე

ბარსა მეტოქეებს მეტის უფლებას უკვე აღარ აძლევს

სანტოსი–ბარსელონა 0:4

სანტოსი: რაფაელი, ედუ დრასენა, ლეო, დურვალი, ბრუნო როდრიგო, დანილო (ელანო 31), მ. არუკა, ენრიკე, ბორუესი (ა. კარდეკი 79), განსო (იბსონი 83), ნეიმარი.

ბარსელონა: ვალდესი, დანი ალვეში, პიკე (მასკერანო 56), პუიოლი (ფონტასი 85), აბიდალი, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა, ალკანტარა (პედრო 79), ფაბრეგასი, მესი.

გოლები: 0:1 მესი (17), 0:2 ჩავი (24), 0:3 ფაბრეგასი (45), მესი 0:4 (82)

ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე "ბარსელონა" ფავორიტი იყო. ფავორიტი, თუნდაც "სანტოსთან" სავარაუდო დაპირისპირებაში, მაგრამ ამ ანგარიშს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. იქამდე, ვიდრე საკლუბო ჩემპიონატის წინამორბედი საკონტინენტთაშორისო თასი ორი მატჩის ჯამში თამაშდებოდა, ოთხი და მეტბურთიანი სხვაობა ორჯერ დაფიქსირდა. 1980 წლიდან თითომატჩიან დაპირისპირებას ტრადიციულად იაპონია მასპინძლობს (გამონაკლისი მხოლოდ 2009 და 2010 წლებში იყო). ამომავალი მზის ქვეყანას კი მსგავსი რამ ჯერ არ უნახავს. კატალონიელებს უკვე შეუძლიათ იამაყონ, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბის სახელს მესამედ ფლობენ, აქამდე მათ ეს მწვერვალი 1992 და 2009 წლებში ჰქონდათ დაპყრობილი. ამაზე მეტჯერ მსგავსი პატივი ჯერ არავის ღირსებია. 3-3-ჯერ თასს "მილანი", "რეალი", "პენიაროლი", "ნასიონალი" და "ბოკა ხუნიორსი" ფლობდნენ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს: მატჩი დაბალ ტემპში დაიწყო. "ბარსამ" იოლად მოახერხა ის, რაც მაინცდამაინც სხვა დროსაც არ უჭირს ხოლმე – ბურთი ხელში ჩაიგდო. პირველად **ფაბრეგასმა** სცადა მატჩის გამწვავება, მეორედ – **მესიმ**, მაგრამ სულ ტყუილად. "სანტოსის" დაცვა თავიდან მყარად იდგა. ბრაზილიელთა მხრიდან ხელი **ნეიმარმა** გამოიღო, მაგრამ რატომღაც ყველას მოტყუება განიზრახა და ბურთი დაკარგა. მე-12 წუთზე პირველი მომენტი მესიმ შექმნა. მისი დარტყმული მეკარე **რაფაელმა** მოიგერია, **ალკანტარამ** კი "უკბილოდ" დაამატა. მალე **განსოს** მიეცა შანსი, მაგრამ საჯარიმოდან კარს მცირედით აცილა. გოლი თვალის დახამხამებაში გავიდა: მესი-**ჩავის** კომბინაციის შემდეგ არგენტინელი მეკარესთან პირისპირ დარჩა და იოლად გაიტანა - 1:0. მეორე გოლამდე თავის გამოჩენა ისევ ლიონელს მართებდა, მაგრამ მეტისმეტი მოინდომა, ნეიმარის არ იყოს, ყველა ვერც მან მოატყუა. 24-ე წუთზე **დანი ალვეშის** ჩაწოდებისა და მცველისგან რიკოშეტის შემდეგ ბურთი ჩავის მიუვიდა. მანაც ახლო მანძილიდან იოლი ბურთი ჩაიწერა ანგარიშზე. აშკარა იყო, რომ "ბარსელონა" ამას არ დასჯერდებოდა. 45-ე წუთზე "სანტოსის" დაცვამ იმდენი შეცდომა დაუშვა, კატალონიელებს ეს მომენტი რომ ვერ გამოეყენებინათ, ალბათ საკუთარ თავს დიდხანს ვერ აპატიებდნენ. მესიმ მოძრავ ალვეშს ბურთი ქუსლით დააწია. მის დარტყმულს წინ რაფაელი აღუდგა. მოგერიებული ბურთი **ინიესტას** მიუვიდა. რაფაელმა მისი ახლო მანძილიდან დარტყმულიც მოიგერია, მაგრამ ფაბრეგასის მცდელობას უკვე ვეღარაფერი მოუხერხა - 3:0. რას აკეთებდნენ ამ დროს "სანტოსის" მცველები, ეს ალბათ მარტო ღმერთმა უწყის.

მეორე ნახევარიც ევროპელთა შეტევებით დაიწყო და... გაგრძელდა. გატანა მართებდათ **ალკანტარასა** და მესის, "სანტოსის" მხრიდან კი შეცვლაზე შესულ **ელანოს**. 85-ე წუთზე თამაშს წერტილი იმ ფეხბურთელმა დაუსვა, ვინც ყველას დაუმტკიცა, რომ მართლა საუკეთესოა მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ლაპარაკი ლიონელ მესიზე გვაქვს. ისევ და ისევ დანი ალვეშის ფლანგური პასის შემდეგ არგენტინელი რაფაელთან ერთი-ერთზე დარჩა, მოატყუა და ცარიელ კარებში გაიტანა - 4:0.

ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონა): *"ჩვენი ტრიუმფის მიზეზი ფეხბურთელთა განუზომელი თავდადებაა. გუნდში ფანტასტიკური შემსრულებლები არიან თავმოყრილნი. ვამაყობ, რომ მათი მწვრთნელი ვარ".*

მურუსიო რამალიო (სანტოსი): *"ბარსელონასთან" წაგება სამარცხვინო არ არის. ვეცადეთ, მეტოქე როგორმე შეგვეჩერებინა, მაგრამ ეს არარეალური იყო. საერთოდ არ მგონია, რომ ამ გუნდის დამარცხება ვინმეს შეეძლოს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიოცნებებთ, რომ ამას მაინც მოვახერხებთ, თუნდაც მომავალ წელს".*

მაჯრი მესამე ადგილისათვის

კაშივა-ალ სადი 0:0 პენ. 3:5

ლევან გიგილაშვილი

ლეო მესი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

● საფრანგეთი. ლიგა 1. XVIII ტური

ბრესტი–ოსერი 1:0

გოლი: 1:0 გრუგი (34. პენ.)
გაძევება: შაფნი (54. ოსერი)

კანი–ნანსი 1:2

გოლები: 0:1 კარაბე (3), 0:2 სანე (55), 1:2 ნივე (60. პენ.)

დიჟონი–სენტ ეტიენი 1:2

გოლები: 0:1 სინამა პონგოლე (16), 0:2 გრადელი (90), 1:2 ბოტეკი (90)

მარსელი–ლორიანი 2:1

გოლები: 0:1 ემეგარა (77), 1:1 ვალბუენა (84), 2:1 შეირუ (90)
გაძევება: ლ. კონე (33. ლორიანი), რომაო (90. ლორიანი)

მონპელიე–ტულუზი 1:1

გოლები: 1:0 დერნისი (7), 1:1 მგენბე (40)
გაძევება: ტაბანუ (86. ტულუზი)

ნიცა–ვალანსიენი 2:0

გოლები: 1:0 მუნიე (68), 2:0 მუნიე (90)

ლიონი–ევიანი 2:1

გოლები: 1:0 ბრიანი (35), 1:1 საგბო (43), 2:1 ლ. ლოპესი (70)
გაძევება: გრენიე (87. ლიონი), ერე (90. ევიანი)

აიაჩო–რენი 1:0

გოლი: 1:0 ფ. დიავარა (83)

ბორდო–სოშო 1:0

გოლი: 1:0 სანე (22)

პსჟ–ლილი 0:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მონპელიე	18	11	4	3	37-19	37
2. პსჟ	18	11	4	3	30-17	37
3. ლილი	18	9	8	1	29-15	35
4. ლიონი	18	11	2	5	31-20	35
5. სენტ ეტიენი	18	8	6	4	23-20	30
6. ტულუზი	18	8	6	4	20-17	30
7. რენი	18	8	5	5	28-23	29
8. მარსელი	18	7	7	4	24-17	28
9. ბორდო	18	5	8	5	20-21	23
10. ლორიანი	18	6	5	7	18-21	23
11. ბრესტი	18	3	11	4	19-19	20
12. ევიანი	18	4	7	7	23-27	19
13. კანი	18	5	4	9	24-29	19
14. ოსერი	18	4	6	8	24-28	18
15. ნანსი	18	4	6	8	16-23	18
16. სოშო	18	4	6	8	21-32	18
17. დიჟონი	18	5	3	10	18-33	18
18. ნიცა	18	4	5	9	17-19	17
19. ვალანსიენი	18	4	5	9	17-21	17
20. აიაჩო	18	2	6	10	18-36	12

ბომბარდირები 12 – ჟირუ (მონპელიე), 9 – გამეირო (პსჟ)

მომდევნო ტური

21 დეკემბერი: ნანსი-მარსელი, ოსერი-დიჟონი, ევიანი-მონპელიე, ლილი-ნიცა, ლორიანი-კაენი, რენი-ბორდო, სოშო-აიაჩო, ტულუზი-ბრესტი, ვალანსიენი-ლიონი, სენტ ეტიენი-პსჟ

გერმანია

ბუნესლიგა
XVIII ტური

ლეგერსი-კორტრეიკი	2:0
სტ. ტრიუდენი-მეხელენი	0:0
ვერსტერლო-ბეერსხოტი	3:1
ვარეგემი-მონსი	2:3
სტანდარდი-გენკი	0:0
ანდერლეხტი-ლოკერენი	3:2
ლოიკენი-ბრიუგე	3:1
სერკლ ბრიუგე-გენტი	0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ანდერლეხტი	18	12	3	3	36-17	39
2. გენტი	18	11	3	4	39-19	36
3. ბრიუგე	18	10	4	4	31-21	34
4. სტანდარდი	18	8	7	3	23-21	31
5. კორტრეიკი	18	9	3	6	24-21	30
6. სერკლ ბრიუგე	18	8	6	4	22-16	30
7. გენკი	18	7	6	5	32-24	27
8. მონსი	18	7	5	6	34-31	26
9. ბეერსხოტი	18	6	6	6	29-26	24
10. მეხელენი	18	5	5	8	22-33	20
11. ლოიკენი	18	5	4	9	22-32	19
12. ლოკერენი	18	4	7	7	25-28	19
13. ლეგერსი	18	3	7	8	14-25	16
14. ვარეგემი	18	2	9	7	19-27	15
15. ვერსტერლო	18	3	4	11	16-31	13
16. სტ. ტრიუდენი	18	2	5	11	24-40	11

● სკანდალი

ფიფას ულტიმატუმი შვეიცარიას

ლიგაზე შეიძლება მანჩესტერ იუნაიტედი დაბრუნდეს

...თუ შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას ოფიციალურ მოთხოვნას არ შეასრულებს და არ დასჯის „სიონს", შვეიცარიულ ფეხბურთს პრობლემები შეექმნება. მათი ვადა 18 იანვრამდე მიეცათ, მანამდე მათ „სიონს" სადისციპლინო სანქციები უნდა დაადონ. ყველა მატჩი, სადაც „სიონის" იმ ფეხბურთელებმა მიიღეს მონაწილეობა, რომელთაც თამაშის უფლება არ ჰქონდათ, ან გაუმართავებად უნდა ჩაითვალოს, ან და „სიონს" წაგებები დაერიცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შვეიცარიელებს უბრალოდ გარიცხავენ ფიფადან და, ბუნებრივია, ვერც შვეიცარიული კლუბები მიიღებენ ევროთასებზე მონაწილეობას. არადა, „ბაზელი", რომელმაც გზიდან „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩამოიცილა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია გასული. ასე რომ, ჯერ მთლად ცნობილი არაა, ვინ შეხვდება მიუნხენის „ბაიერნს" 22 თებერვალს ლიგის მერვედფინალში.

შეგახსენებთ, რომ ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასული „სიონი" სწორედ ამ დარღვევის გამო მოკვეთეს გათამაშებიდან და მის ნაცვლად შოტლანდიური „სელტიკი" დაუშვეს. „სიონმა" შემდეგ სამოქალაქო სასამართლოშიც იჩივლა, თუმცა ის საქმე წააგო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

შვეიცარიელთა ზეიმი ნაადრევი ხომ არ იყო?

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მაღთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ძვედა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

XVIII ტური

კილი-პაულშერი	0:0
ბერლინერი-ვოლფსბურგი II	4:1
გერმანია-პანოვერი II	0:1
ლაიფციგი-შეიენი	3:2
მოისელვიცი-აამბურგი II	2:2
პერგა II-მაგდებურგი	გადაიდო
კოტბუსი II-პაპელსა	გადაიდო
ალაუენი-ლიუბეკი	გადაიდო
სტ. პაული II-ვილჰელმშაფენი	გადაიდო

საფრანგეთი

II დივიზიონი

XVII ტური

მეცი-ლანსი	2:0
შატორუ-ბასტია	0:2
ნანტი-ლავალი	2:3
ტური-გინგამპი	5:1
ისტრი-ამიენი	2:1
ტრუა-რენ�ს	1:0
სედანი-არლი	0:0
ლე მანი-ანეფრსი	2:2
აუტრი-ფონაკო	2:2
კლერმონი-ბულონი	1:2

პოლონეთი

II დივიზიონი

XVII ტური

დოროდრეუტი-იგლზი	3:1
ვოლეენდამი-ოსი	1:2
ცეოლე-ფორტუნა	4:2
მაასტრიხტი-დენ ბოში	1:4
ტელსტარი-ეფენი	2:1
ვეენდამი-სპარტა	1:2
ვილეენი-კაგუერი	0:0
ალფერი-ვინდეოვენი	დღეს
აეფმონდი-ააეფდორონი	გადაიდო

ბელგია

II დივიზიონი

XVIII ტური

ანტვერპენი-ლოუფელი	2:1
დენდერი-სტანდარდი (ვ)	0:0
რუზელარე-ბორინაჟი	0:2
ტუბეკე-აალსტი	1:2
ვაასლანდი-ვოლუვე	0:0
ვიზე-ეუბენი	1:3
ბინენი-შარლუა	0:2
აარსტი-სტ. ნიკლაასი	4:3
ოსტენდე-ბრიუსელი	0:0

პორტუგალია

II დივიზიონი

XII ტური

ეუგორული-მორეირენსე	1:0
აკეენი-აგ

| 3:1 |
| ბელენენსეში-სანტა კლარა | 2:1 |
| ფარეენსე-პორტიმონენსე | 2:2 |
| ოლიეირენსე-ლეიქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

ოქრუაშვილს ოქრო მესამედ

საქართველოს სამოცდამესამე ფალავნობას ქართულ ჭიდაობაში დიღომში ძიუდოს სპორტკომპლექსმა უმასპინძლა. ქართული ჭიდაობის ამ უმთავრეს ტურნირში 22 ათლეტი მონაწილეობდა. შარშან კი მათი რიცხვი 16 იყო.

ტრამვების გამო ფალავნობაზე ვერ შეძლეს გამოსვლა **დავით ლორიაშვილმა** და **ლაშა გუჯეჯიანმა,** თურქეთში საკლუბო ტურნირზე გამოდიოდა **ვახტანგ ზოიძე,** ხოლო **ლევან ყორყოლიანი** ჩინეთის ქალაქ ქინგდაოში ასპარეზობდა „დიდ პრიზზე“.

შარშანდელი ფინალისტები **ადამ ოქრუაშვილი** (მცხეთა-მთიანეთი) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** პირველად მეორე ქვეჯგუფში გაანაწილეს. შედარებით იოლად განვლო გზა ფინალამდე თელაველმა გიგანტმა ხანჯალიაშვილმა (წონა 155 კგ. სიმაღლე 205 სმ). მოქმედ ფალავანს ადამ ოქრუაშვილს კი დიდი ბრძოლების გადახდა მოუწია, განსაკუთრებით იმერეთის ნარმომადგენელ **ონისე ბუღაძესთან** და ახმეტელ **მირიან გონჯილაშვილთან.** ამ ახალგაზრდა მოჭიდავეებმა ქომაგთა დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. მეორე ქვეჯგუფიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა გორელმა **უშანგი კოკაურმა.** მეტს ველოდით **თევდორე აბელაშვილისაგან** (თბილისი).

2011 წლის ფალავნობის ფორმატში იყო ერთი სიახლე - ფინალისტებთან დამარცხებულმა მოჭიდავეებმა ბრძოლა ორივე ქვეჯგუფიდან გააგრძელეს დამამშვიდებელ ჯგუფში. ეს იყო პაექრობა მცირე ფინალისათვის, რომელსაც უნდა გამოევლინა საქართველოს ფალავნობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

„მცირე ფინალში“ მირიან გონჯილაშვილსა და უშანგი კოკაურს შორის შეხვედრის დასაწყისში უპირატესობას გორელი დაეუფლა. მაგრამ გონჯილაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო მობილიზება, ეფექტური გდებით გაიმარჯვა და ბრინჯაოს მედლს დაეუფლა. ეს მისი პირველი ტიტულია საქართველოს ფალავნობაზე.

მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ მთავარ ფინალს. შარშანდელის მსგავსად წლეულსაც ადამ ოქრუაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი ნარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ყველას აინტერესებდა შეძლებდა თუ არა ოქრუაშვილი ზედიზედ მესამედ გაფალავნებას, ანდა - ხანჯალიაშვილი შარშანდელი მარცხისათვის რევანშის აღებას.

მეტოქეები, ცხადია, კარგად იცნობენ ერთმანეთის საჭიდაო არსენალს. ამიტომ შეხვედრის ძირითად 5 წუთში ორივე მოჭიდავე ზედმეტად ფრთხილობდა სარისკო შეტევის წამოწყებას. ნულოვანი ფრეს შემდეგ ქართული ჭიდაობის ახალი წესების თაანხმად, მსაჯებმა დანიშნეს დამატებითი დრო - პირველ მომგებიან ქულამდე. ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ოქურაშვილმა წონასწორობა დააკარგვინა მეტოქეს და სასურველი ფანდი შეასრულა - ზედიზედ მესამედ მოიპოვა საქართველოს ფალავნობა.

როგორც ყოველთვის, ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ფალავნობა მიმზიდველი და საინტერესო პირველობაა. ასე იყო ამჯერადაც.

წლევანდელ ფალავნობაზე პირველად გამოჩნდა 160 სმ-იანი საინფორმაციო მონიტორი ქართული შრიფტით. უნდა ითქვას, რომ სასურველი იყო უფრო ფართო აუდიტორია. აბსოლუტური პირველობა, რა თქმა უნდა, ვერ იქნება გამორჩეული მონაწილეთა სიმრავლით, როგორც ჩვეულებრივი შეჯიბრება, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე პერსპექტიული ახალგაზრდები. იგივე ითქმის ზემოთხსენებულ კოკაურზე, ბუღაძეზე, გონჯილაშვილზე...

ქართული ჭიდაობის თავკაცმა **თეიმურაზ გიორგაძემ** შეჯიბრების ბოლოს სამგზის ფალავნი და პრიზიორები პრემიებითაც დააჯილდოვა.

კპარსხლბეკი

1. ადამ ოქრუაშვილი - მცხეთა-მთიანეთი (3000 ლარი)
2. ზვიად ხანჯალიაშვილი - თელავი (2000 ლარი)
3. მირიან გონჯილაშვილი - ახმეტა (1000 ლარი).

გაბრიელ ბარჯაძე

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

ჯობავა ევროპაში ყველაზე სწრაფია

ათი მოგება, ორი ყაიმი, ერთი მარცხი და ოქროს მედალი - ასეთია ქართველი დიდოსტატის **ბაადურ ჯობავას** მონაგარი სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც პოლონეთის დედაქალაქმა უმასპინძლა.

ვარშავაში გამართულ ტურნირზე თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის 15-15 წუთი ეძლეოდა ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით. ორი დღის განმავლობაში 13 ტური გათამაშდა (შეჯიბრებაში 746 ქალ-ვაჟი მონაწილეობდა, მათ შორის - 67 დიდოსტატი). ჯობავამ ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო: დაამარცხა ლატვიელები - მარია გოლუბევა და არტურს ნეიკრანსი, ფრანგი გურილ როუსი, პოლონელები - პაველ სტომა, კასპერ პიორუნი და ვოიჩეკ მორანდა, მეშვიდე-მერვე ტურებში ალექსეი შიროვსა (ესპანეთი) და იან ნეპომნიაშჩის (რუსეთი) დაუზავდა, მეცხრეში კი მოულოდნელად არცთუ ისე ძლიერ უნგრელს - ვიქტორ ერდოშს დანებდა. ამ წაგების შემდეგ იგი 1,5 ქულით ჩამორჩებოდა ერთპიროვნულ ლიდერ სანან სიუგიროვს (რუსეთი), სამი მოჭადრაკე კი ჩვენებურს თითო ქულით უსწრებდა.

ყოველივეს მიუხედავად, ბოლო ტურებში ჯობავამ შეძლო ძალების მობილიზება და საფინიშო სპურტზე ოთხი მეტოქე (პოლონელი მარცინ ძიუბა, უნგრელი ტომაშ ბანუში, რუსი არტიომ ტიმოფეევი, უკრაინელი ანდრეი ვოლოკიტინი) შეინირა, მოაგროვა 11 ქულა და სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობებზე კლასიკური პარტიებით ჯობავას თითო ვერცხლი და ბრინჯაო აქვს მოპოვებული. პოლონურ ბატალიებამდე კი მან მილანის საერთაშორისო ტურნირი ცხრა შესაძლებლიდან 8,5 ქულით მოიგო. ვერაფერს იტყვი - სეზონის ჩინებული ფინიშია.

ვარშავაში ქართველ დიდოსტატს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მერვე ადგილებზე გავიდნენ სანან სიუგიროვი (რუსეთი), რობერტ კემპინსკი (პოლონეთი), ანტონ კორობოვი (უკრაინა), ვიქტორ ერდოში (უნგრეთი), სერგეი მოვსესიანი (სომხეთი), მიხალ ოლშევსკი (პოლონეთი), ალექსანდრ მისტა (პოლონეთი).

საგულისხმოა, რომ ვარშავაშივე დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ბლიცში

ბაადურ ჯობავა

(3 წუთს + 2 წამი). საპრიზო ადგილები აქ 26 შესაძლებლიდან 20-20 ქულით ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი), ალექსეი დრეევმა (რუსეთი) და რადოსლავ ვოიტაშეკმა (პოლონეთი) გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

გიგა ყუფარაძე

ვაჟა ნიკალაძე

ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირი, რომელშიც უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზურისთვის სხვადასხვა რეგიონის 57 წარმომადგენელი იბრძვის.

გუშინ მე-4 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. გიგა ყუფარაძე თეთრი ფიგურებით ირაკლი ბერაძეს შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე დაზავდნენ: გიორგი ხელაია-გაიოზ ნიგალიძე, გიორგი ნიკოლაშვილი-შოთა აზალაძე; ზურაბ ჯავახაძემ ირაკლი ჯანიაშვილს მოუგო, ივერი ჭიღლაძემ - ნიკა ვოლკოვს, ბაჩანა მორჩიაშვილმა - შალვა ნადირაშვილს... ოთხი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ყუფარაძე, ბერაძე და ჯავახაძე მენინავეობენ. 10 მონაწილეს 3-3 ქულა აქვს.

დღეს მე-5 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: ბერაძე (3,5)-ჯავახაძე (3,5), ნიგალიძე (3)-ყუფარაძე (3,5), აზალაძე (3)-გამზარდია (3), ჯანიაშვილი (3)-ჭიღლაძე (3), მორჩიაშვილი (3)-ნიკოლაშვილი (3), ხელაია (3)-ლომსაძე (3), მაღრაძე (2,5)-სიბაშვილი (3).

ვაჟა დანელია

ათი ქვეყნის ქალები სტამბოლში შეერთდნენ

თურქულ მარდინში გუშინ დაიწყო და 27 დეკემბერს დასრულდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ (კენჭისყრის მიხედვით): ინდოეთი (საშუალო რეიტინგი 2483), თურქეთი (2067), სამხრეთ აფრიკა (1877), სომხეთი (2416), ვიეტნამი (2307), რუსეთი (2509), საბერძნეთი (2256), საქართველო (2482), ჩინეთი (2528), უკრაინა (2446).

გუშინ პირველ ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებმა (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია,** კაპიტანი **ნინო გურიელი,** მწვრთნელები – **ზურაბ სტურუა, თამაზ გელაშვილი,** დელეგაციის ხელმძღვანელი **გია გიორგაძე**) სამხრეთი აფრიკის გუნდს 4:0 სძლიეს. ძაგნიძე, რომელიც პეკინში მსოფლიო ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობდა, გუშინ ისვენებდა, ჯავახიშვილმა, ხოტენაშვილმა, ხურციძემ და მელიამ, შესაბამისად, სესილ ვან დერ მერვე, ანსელ სოლომონსი, დენის ფრიკი და ლორენ ვან ნიეკერკი დაამარცხეს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ინდოეთი - უკრაინა 2:2** (ჰამფი კონერუანა უშენინა 1:0, ჰარიკა დრონავალი-მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ტანია საჩდევი-ინა გაპონენკო 0,5:0,5, როუთ რადმინი-ნატალია ჟუკოვა 0:1), **თურქეთი-ჩინეთი 1,5:2,5** (ბეთულ ილდიზი-ცზიუ ვენძიუნი 0,5:0,5, კუბრა ოზთურქი-ჟან სიუე 1:0, კარდელენ ჩემპანი-თან ჟონი 0:1, იესიმ პათელი-ჟან სიაოვენი 0:1), **სომხეთი-საბერძნეთი 4:0** (ლილით მკრტჩიანი-მარინა მაკროპულუ 1:0, ლილით გალოიანი-ეკატერინი ფახირიდუ 1:0, მარია კურსოვა-ეკატერინი პავლიდუ 1:0, ნელი აგინიანი-ზოი იორდანიდუ 1:0), **ვიეტნამი-რუსეთი 1,5:2,5** (ნგუენ პჰამ ლე ტაო-ნადეჟდა კოსინცევა 0,5:0,5, ჰოანგ თი ბაო თრამი-ტატიანა კოსინცევა 05:05, ნგუენ თი თჰამ ანი-ალექსანდრა კოსტენიუკი 0,5:0,5, ჰოანგ თი ნჰუ-ვალენტინა გუნინა 0:1).

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: **საქართველო-სომხეთი,** უკრაინა-რუსეთი, საბერძნეთი-ვიეტნამი, ჩინეთი-სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი-თურქეთი.

ჩემპიონატზე 23 დეკემბერი დასვენების დღეა.

ვაჟა დანელია

კარატე

კარატეს ეროვნული ნაკრები უწმინდესმა დალოცა

17 დეკემბერს, ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაულზე საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთი მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შეხვდა.

„დღევანდელი დღე ქართული კარატესთვის უმნიშვნელოვანესი იყო - პირველად ქართული კარატეს ისტორიაში უწმინდესმა და უნეტარესმა ჩვენი ეროვნული ნაკრები დალოცა. ეს დღე პირადად ჩემთვის და ნაკრების თითოეული წევრისთვის მეტად მნიშვნელოვანია და ამის მერე შედეგებს გავაასმაგებთ. საქართველოში გამართულ არაერთ ტურნირში, აგრეთვე ევროპა-მსოფლიო ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებები პატრიარქმა მოიწონა და კიდევ ერთხელ დალოცა ეროვნული ნაკრები, 2012 წელს მეტი წარმატებები და ღვთის წყალობა გვისურვა. ერისთვის ჯანსაღი მომავლის აღზრდის კუთხითაც მოიწონა ჩვენი საქმიანობა და ამისთვისაც დაგვლოცა. მადლობა უფალს და მადლობა უწმინდესს დღევანდელი დღისთვის“, - აღფრთოვანებით გაანცხადა უწმინდესისგან გამოსულმა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ.**

ნუგზარ ჭიაბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ნაკრები

იგორ კოკოშკოვი: საქართველო ჩემი სახლია!

ქართველი გულშემატკივრისთვის თავის მოწონება ნებისმიერ მწვრთნელს უჭირს. მით უმეტეს, უცხოელს. კალათბურთელთა ნაკრების დამრიგებელმა **იგორ კოკოშკოვმა** კი ეს მოახერხა - მის მიერ მიღწეული შედეგებით ბევრი კმაყოფილია და ლოგიკურია, რომ მასთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. სერბი სპეციალისტი მთავრობამაც დააფასა და გუშინ ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კახეთში ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი გადასცა.

კოკოშკოვთან ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდაო, ზემოთ კი დავწერეთ, მაგრამ არ გვითქვამს როდის მოეწერა ხელი ახალ ხელშეკრულებას. გუშინ, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" დილის 10 საათზე საქართველოს ნაკრების ყოფილი და ახალი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი ჟურნალისტებსაც გაესაუბრა და კალათბურთის ფედერაციის მიერ შეთავაზებულ კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

- იგორ კოკოშკოვი საქართველოში ფინიქსიდან 25-საათიანი მგზავრობის შემდეგ შაბათს ღამით ჩამოვიდა. კვირას, დღის ბოლოს კვლავ ამერიკაში გაფრინდება. მას კალათბურთის ფედერაციამ 2+2 სისტემის კონტრაქტი დაახვედრა, რაზეც იგი ხელს ახლა მოაწერს, - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა.** ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** კი განმარტა:

- რამდენიმე დღის წინ გავაუღერეთ ინფორმაცია, რომ იგორ კოკოშკოვთან შეთანხმებას მივაღწიეთ და იგი ნაკრებს ევრობასკეტი 2013-ის დასრულებამდე უხელმძღვანელებს. მან ჩვენ მიერ აქამდე დასახული ყველა მიზანი შეასრულა და ნამდვილად არ გვქონდა საფუძველი თუ სურვილი, მწვრთნელი შეგვეცვალა. იგორ კოკოშკოვით კმაყოფილები ვართ, რისი დასტურიც ახალი კონტრაქტი იქნება.

- მოხარული ვარ, რომ საქართველოში კიდევ მომიწია ჩამოსვლამ. სერბი ვარ, ამერიკაში ვცხოვრობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ჩემი სახლია. განვლილ ოთხ წელიწადში გუნდთან ბევრი ვიმუშავე, ნაკრების წევრებთან, ხალხთან და ფედერაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობა საინტერესო და სასიამოვნო იყო. ამიტომ, როცა ახალი ხელშეკრულების გაფორმება შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან კიდევ ერთხელ ვიგრძენი ჩემდამი ნდობა, - თქვა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატმა იგორ კოკოშკოვმა და ერთი წუთიც არ დასჭირდა კანდიდატობიდან მთავარ მწვრთნელობამდე - კონტრაქტზე საკუთარი ავტოგრაფი დასვა.

დავინტერესდით, კონკრეტულად რა დაუსახა მიზნად საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სერბ მწვრთნელს. პასუხი ბესიკ ლიპარტელიანმა გაგვცა:

- მთავარი მიზანია ნაკრების თამაშის კიდევ უფრო გაუმჯობესება. შესარჩევი ეტაპიდან (2012 წელს) ევრობასკეტზე თითო ჯგუფიდან ორი გუნდი გავა, რომლებსაც საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ოთხი მესამეადგილოსანი დაემატება. იგორ კოკოშკოვისგან ევროპის ჩემპიონატზე გასვლას, იქ კი კარგი შედეგის ჩვენებას ვითხოვთ. ამასთან, მწვრთნელმა უნდა სათანადადოდ წარმართოს გაახალგაზრდავების პროცესი. ნაკრებში არიან წევრები, რომლებმაც თავისი სიტყვა უკვე თქვეს, სპორტული თვალსაზრისით ასაკიანებიც არიან. სწორედ მათ უნდა ჩაენაცვლოს ახალი თაობა.

ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს ნაკრების წევრი **ანატოლი ბოისა** და მწვრთნელთა შტაბის ორი წარმომადგენელი — **დავით უსტიაშვილი** და **კოტე ტულუში.** იგორ კოკოშკოვის ნაკრებში დარჩენა კოტემაც დადებითად შეაფასა:

- სასიხარულოა, რომ იგი ჩვენს გუნდში დარჩა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგორ კოკოშკოვს საქართველოს ნაკრებში თავი არ ამოუწურავს. ამიტომ მასთან ერთად წინსვლას უნდა ველოდოთ. ბატონი იგორი მცოდნე სპეციალისტია და საქმეს გულიანად უდგებოდა, ეს ორმაგად დაუფასდა - ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე დადებითი შედეგი უჩვენა, ხოლო კალათბურთის ფედერაციისგან ახალი შეთავაზება მიიღო.

ახლა ანატოლი ბოისას მოვუსმინოთ:

- ლოგიკური გადაწყვეტილებაა. მას მერე, რაც იგორ კოკოშკოვმა საქართველოს ნაკრებთან ერთად გააკეთა, მოსალოდნელი იყო, რომ ახალ კონტრაქტს შესთავაზებდნენ. მისი გუნდში დარჩენა იმიტომაცაა კარგი, რომ შემადგენლობას კარგად იცნობს და ახალი მწვრთნელისგან განსხვავებით თითოეული კალათბურთელის ცალკე გაცნობა არ მოუწევს. იმედი მაქვს, მასთან ერთად წარმატებული 2012 წელი გველის.

ოფიციალური მხარის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით.

- ფურცელი და კონტრაქტი ფორმალობაა, მთავარია, რომ თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი ორივე მხარეს ჰქონდა. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, ფედერაცია სწორი მიმართულებით მიდის და მეც მოხარული ვარ, რომ კვლავ პროექტის ნაწილად დავრჩი. აქამდეც მაქსიმუმს ვაკეთებდით და ამიერიდანაც ყველა ღონეს ვიხმარ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპაში ღირსეულად წარმოჩნდეს.

- ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე ტოპ-12 გუნდს შორის მოვხვდით, რითაც თამასა მეტად მაღლა აიწია. კარგად გესმით, რომ საქართველოს ნაკრებისგან კვლავ მაღალ შედეგებს ველით.

- მუშაობის გაგრძელებას რომ დავთანხმდი, ვიცოდი რა ამოცანები დადგებოდა ჩემ წინაშე. ყველაფრისთვის მზად ვარ. საერთოდ, გარკვეულ სიმაღლემდე ასვლა ძნელია, თუმცა უფრო ძნელი სიმაღლის შენარჩუნებაა. საქართველოს ნაკრებმა ჯერ მეორიდან პირველ დივიზიონში გადაინაცვლა, შემდეგ ევრობასკეტზე ითამაშა, სადაც პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა და საუკეთესო 12 გუნდს შორის მოხვდა. 2013 წელს გასამართ მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე ამის გამეორება იოლი არ იქნება, მაგრამ ვიცი, რომ ქართველი გულშემატკივარი და მედია კვლავ თორმეტეულში მოხვედრას ელის, სხვა შედეგი წარუმატებლობად ჩაითვლება. მიზნის მისაღწევად ისევე მონდომებით ვიმუშავებთ, როგორც აქამდე. ვიბრძოლებთ თითოეული მატჩის მოსაგებად. ჩვენმა კალათბურთელებმა უკვე დაინახეს, რომ დიდ გუნდდებთან ბრძოლა და გამარჯვებაც შეუძლიათ.

- ევრობასკეტი-2013-ის წილისყრა 4 დეკემბერს შედგა. საქართველოს ნაკრების მეტოქეებზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- ჯგუფში პირველობისთვის ჩვენი მთავარი კონკურენტი ბოსნიაა, რომელმაც 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ბოსნიელების შემადგენლობაში ევროლიგის არაერთი გამორჩეული კალათბურთელი ირიცხება.

- ჰოლანდიასა და ლატვიას 2011 წელს ამხანაგურად ეთამაშეთ. რა დონის გუნდები ჰყავთ?

- ლატვიაც ევრობასკეტზე იყო და გამოჩნდა, რომ იოლი დასაძლევი ბარიერი არავისთვისაა, ახალგაზრდული, ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ჰოლანდიელები აქამდე მეორე დივიზიონში თამაშობდნენ, თუმცა ყოველთვის ჰქონდათ ელიტაში მოხვედრის სამართლიანი პრეტენზია. ჰოლანდიელების მთავარი პლუსი სიმაღლეა - ხარისხიანი მეფარეები ჰყავთ. რუმინეთი თითქოს აუტსაიდერია, თუმცა მასთანაც სერიოზული მიდგომაა საჭირო. გემახსოვრებათ, 2010 წელს თბილისში ისინი 10-ქულიანი სხვაობითაც ვერ დავამარცხეთ.

- არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ვინ დაიცავს საქართველოს ნაკრების ღირსებას ნატურალიზებულთაგან: ისინი, ვისაც აქამდე ენდობოდით, თუ ახალს მოძებნით?

- შესაძლოა, მომდევნო თვეებში აზრი შევიცვალო, მაგრამ სადღეისოდ ვფიქრობ, გაისადაც მათ დავეყრდნობი, ვინც აქამდე გვყავდა. ტორინ გრინი და მარკიზ ჰეინსი ესპანურ „გრან კანარიაში" კარგად ირჯებიან. ორივე მაღალი დონის კალათბურთელია, რასაც ესპანეთსა და ევროთასზე ამტკიცებენ.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი იტალიაში

თექვსმეტრეველი

...14 წუთში

იტალიის ჩემპიონატის მეათე ტურის ორი მატჩი შაბათს გაიმართა. „დინამო სასარი" ტრევიზოში „ბენეტონთან" 72:80 დათმო, ხოლო „მონტეგრანარომ" მილანში „არმანისთან" - 72:88. მილანური შეხვედრა გვერდზე გადავდოთ, „დინამოს" მატჩი კი ქართველთათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო - **ნიკა მეტრეველმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იტალიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ღირსეული წარმომადგენელია.

ტრევიზოელი შეხვედრის 26-ე წუთისთვის „ბენეტონმა" 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (53:41), რის შემდეგაც სასარელთა თავკაცმა **რომეო საკეტიმ** თამაშში ქართველი ფორვარდი ნიკა მეტრეველი ჩართო. მანამდე მწვრთნელი მის მოედანზე შეყვანას იმიტომ ერიდებოდა, რომ აქილევსის მყესი მცირედით აწუხებდა.

მეტრეველი მატჩში იმდენად კარგად ჩაერთო, რომ საკეტის ბოლო წამებამდე მისი შეცვლა აზრადაც არ მოსვლია. ნიკას კარგი თამაშის შედეგად კი „დინამომ" ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირა (57:61), თუმცა ეს იყო და ეს - სტუმრებმა თამაშის შემოტრიალება ვერ მოახერხეს.

ქართველ ფორვარდს საბოლოოდ 14 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მოუგროვდა. თამაშიდან მან 100-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა: 5-დან 5 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, ხოლო 6 საჯარიმოდან 3 გამოიყენა. ლოგიკური იყო, რომ მეტრეველის მარგი ქმედების კოეფიციენტმა მაღალ ნიშნულს, 19-ს მიაღწია.

ხვალ შემოგთავაზებთ ინტერვიუს ნიკა მეტრეველთან. ასევე დავწერთ, ესპანეთის ჩემპიონატის მატჩზე, რომელშიც საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **მარკიზ ჰეინსმა** 35 ქულა ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი

● დაჯილდოება

სააკაშვილმა სპორტის წარმომადგენლები ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ყვარლის სახლში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი პირადად გადასცა.

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს,** საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ **გიორგი ნიჟარაძეს** და რაგბის პროგრამების განვითარების ხელმძღვანელ **ჯეიმს რიჩარდ დიქსონს** ქართული სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებისთვის გადაეცათ.

„მინდა, ყველას მადლობა გითხრათ, რადგან წლეულს პირველად გამოჩნდა თქვენი მრავალწლიანი მუშაობის შედეგი, რომ საქართველო რაგბიშიც და კალათბურთშიც ბევრად უფრო წინ წავიდა. ეს არის ნაწილი საერთო პროცესის, რაც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, რომ საქართველო მესამეხარისხოვანი ქვეყნიდან უნდა გადაიქცეს პირველხარისხოვან ქვეყნად. სპორტს ამაში გადამწყვეტი როლი აქვს. მე კარგად ვნახე, ლიტვაში რამხელა რეაქცია იყო ჩვენი ნაკრების თამაშზე, როგორ საერთო სახალხო ზეიმად იქცა თქვენი იქ ყოფნა. ლონდონში ყოფნის დროს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აღტაცებით მელაპარაკა საქართველოს ნაკრების თამაშზე, მათ შორის ინგლისის გუნდთან და განცვიფრება გამოხატა. მისთვის სიურპრიზი იყო ჩვენი ასეთი თამაში", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ჰაღათბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. X ტური

ესროლა და... რეკორდი

ბლერის 41

17 დეკემბერი

შსს-თსუ 113:85

24:14, 16:19, 36:25, 37:27

შსს: მაკქემონი (12ქ), ლაფანაშვილი, ნიკოლაძე, ლონდარიძე (16ქ), თენიეშვილი, ტუჯანი (6ქ), იმნაძე, დვალიშვილი, ბლერი (41ქ, 10მ, 7პ), კრეპსი (27ქ, 9მ), ბოჟოლიშვილი (2ქ), სმიტი (9ქ, 9მ).

თსუ: ბერიშვილი (12ქ), ფანჩულიძე, მჭედლიშვილი, კოხრეიძე (3ქ), კორკოტაძე (11ქ), მარკოიშვილი, ნინიაშვილი (27ქ, 9მ), ჩიტაშვილი (9ქ, 8მ), ხიზანიშვილი (6ქ), შერმადინი, მაისურაძე (17ქ), ჩქარეული.

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

კომისარი: მ. ქურიძე

ჩემპიონატის დასაწყისში კალათბურთელები რეკორდს რეკორდზე აუმჯობესებდნენ. მას მერე ზუსტად ერთი თვე მოგვიხდა მოცდა, ვიდრე ქულებსა და მოხსნებში ახალ რეკორდს ვიხილავდით: მეათე ტურში შსს-ს გამთამაშებელმა **ლარი ბლერმა** 41 ქულა ჩააგდო და ერთით გაუმჯობესა სოხუმელი **ლევან ფაცაციას** მიერ ერთი თვის წინ ნაჩვენები შედეგი.

ვერ ვიტყვით, რომ შსს-ს დამარცხება მხოლოდ ლარის ბრალია, თუმცა ცალკე ყურადღების გამახვილება გვმართებს მის მონაგარზე, რამაც მისი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელება გადაგვაწყვეტინა: 39 წუთში 41 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი 2 ჩაჭრა. მის ანგარიშზე 21-დან 11 ორქულიანი, 8-დან 4 სამიანი და 8-დან 7 საჯარიმოა.

შსს-დან 27 ქულა **რობო კრეპსმა** ჩააგდო, 16 - **ილია ლონდარიძემ**, ხოლო 12 - **ჯეფრი მაქემონმა**. მათმა თამაშმა **თორნიკე ნინიაშვილის** 27 ქულა გადაფარა და შსს-მ თსუ-ს 113:85 აჯობა. სხვათა შორის, 113 ქულაც სეზონის რეკორდია. ისევე როგორც ბლერის მაჩვენებელს, მასაც უნერია გაუმჯობესება.

■ ■ ■

სტუ-დინამო 97:81

23:18, 24:18, 17:23, 33:22

სტუ: თევზაძე (2ქ), ჩაჩიბაია (12ქ), ჭოხონელიძე, მაჩალაძე (17ქ, 16მ), ხანიაშვილი (12ქ), კობიძე (2ქ), ჯავახიშვილი, დეკანოიძე (4ქ), ძიძიგური (10ქ), კორძაძე, ბერუაშვილი (11ქ, 13მ), ანთაძე (27ქ).

დინამო: ბაქრაძე (11ქ, 7პ), ლეჟავა, ლომიძე, სანაძე (5ქ), მარხვაშვილი (7ქ), კეიდია (2ქ), ალხანაიძე, მეხრიშვილი, ჯაგველაძე, სუხიშვილი (2ქ, 11მ), დეივი (29ქ, 19მ), კარტერი (25ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, მ. ანდღულაძე.

კომისარი: რ. ხომერიკი

შაბათის პირველ მატჩში **ქიენ კარტერმა** მოხსნებში პირადი რეკორდი (18) გაუმჯობესა - 19 მოხსნა მიითვალა, თუმცა არც ეს და არც მისი 25 ქულა „დინამოს" მოგებისთვის არ ეყო. **ზურაბ ტომარაძის** გაწვრთნილმა სტუ-მ პირველივე წუთებიდან სნრაფი, გუნდური თამაში დაუპირისპირა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა - 97:81.

გუნდურობა შემთხვევით არ გვიხსენებია, ტექნიკოსთაგან ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ნიშნული. გვარების აქ ჩამოწერას სჯობს ოქმს გადავხედოთ...

■ ■ ■

არმია-სოხუმი 86:58

23:20, 13:8, 28:11, 22:19

არმია: რიჩარდსონი (24ქ), ბაბიაშვილი (1ქ), ბოისა, მინაშვილი, კვიმსაძე (6ქ), ტომასი (21ქ), მოსეშვილი (3ქ), ათანელიშვილი (2ქ), შელბომი (6ქ, 9მ), ვუდსაიდი (14ქ, 14პ), საყვარელიძე (9ქ).

სოხუმი: ფარლალავა (16ქ, 8პ, 8მ), როგავა, ბულიავა, კანკია, ჩლაიძე (5ქ), სორდია, ათუაშვილი (8ქ), ფაცაცია (14ქ, 7მ), გაფრინდაშვილი (4ქ), ქადარია (5ქ), ჯგერენაია (6ქ), ჯანაშია.

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

კომისარი: მ. რატიშვილი

რეკორდი კიდევ ერთ მატჩში დამყარდა: „არმიას" ახალმა გამთამაშებელმა **ბენჟამინ ვუდსაიდმა** „სოხუმთან" 14 შედეგიანი გადაცემა შეასრულა და ოლიმპელი **ლაშა გამყრელიძის** მაჩვენებელი გაიმეორა.

„სოხუმის" რიგებში **ფაცაციამ** და **ფარლალავამ** ჯამში 30 ქულა მოაგროვეს, რაც ამ სეზონში გამარჯვებას არ ყოფნის. 86:58 „არმიას" სასარგებლოდ.

■ ■ ■

ოლიმპი-სამედიცინო 78:71

21:19, 17:21, 26:18, 14:13

ოლიმპი: გამყრელიძე (6ქ, 13პ), გულისაბედაშვილი (2ქ), მინაშვილი, ნანიტაშვილი, თავართქილაძე, სიგუა, მილუტინოვიჩი (14ქ, 7მ), ბერიშვილი (20ქ, 14მ), სლიუკა (9ქ), მუმლაძე, ტუტუსი (12ქ), ჰოგერი (15ქ, 7მ).

სამედიცინო: ტომარაძე (15ქ, 7მ), ჩიკვილაძე (12ქ), ყველაშვილი, ბექაური (11ქ, 9მ), პირველაშვილი (2ქ), გაბისონია, აბაიშვილი (5ქ), შვანგირაძე, ჭოჭუა (12ქ), ილიჩი (10ქ, 8მ), ჯინჭარაძე (4ქ), სამოილოვიჩი.

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი.

კომისარი: რ. ხომერიკი

შედარებით თანაბარი გამოდგა „ოლიმპისა" და „სამედიცინოს" დაპირისპირება. ოლიმპელებმა თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ, მესამე პერიოდში მოიპოვეს მცირე უპირატესობა, რომლის შენარჩუნება დაძაბულ მეოთხე ათწუთიულში მოახერხეს.

გუნდი	თ	გ	ნ	ს/ს	ქ
1. არმია	9	9	0	832/566	18
2. ოლიმპი	9	8	1	737/652	17
3. ქუთაისი	9	7	2	772/678	16
4. სოხუმი	9	6	3	758/692	15
5. შსს	9	5	4	814/773	14
6. თსუ	9	4	5	717/743	13
7. სამედიცინო	10	3	7	843/892	13
8. სტუ	9	4	5	746/798	13
9. დინამო	9	3	6	738/819	12
10. გათუმი	9	1	8	656/798	10
11. რუსთავი	9	0	9	642/844	9

ვაჟა სიმონიშვილი

ჩვენი

● ლეგიონერები

ჩელენჯ კაპზე უკეთ, ვიდრე ჰეინეკენზე

ევროპულ საკლუბო ტურნირებზე, ყველაზე პრესტიჟულ „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა წარუმატებლად ითამაშა. სატურნირო მდგომარეობა ორი მათგანისთვის საკმაოდ გაუარესდა. ერთი კი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", მიუხედავად იმისა, რომ დამარცხდა, „ქართულ გუნდებს" შორის ყველაზე უკეთეს შანსს ინარჩუნებს.

A ჯგუფში **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" სტუმრად დამარცხდა ინგლისურ „ნორსჰემპთონთან" - 0:45. კასტრელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა მატჩის პირველ ტაიმში გაუწიეს და მხოლოდ სამი ქულის სხვაობით 3:0 წაადეს. თუმცა შესვენების შემდეგ, ჩვენებურის გუნდი მაინც გატყდა. „კასტრი" ახლა 6 ქულით ბოლო, მეოთხე ადგილზეა.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ლიდერმა, ირლანდიურმა „მანსტერმა" შინ მოუგო „ჰლანეჰლის" - 19:13.

A ჯგუფი

მანსტერი-ჰლანეჰლი 19:13, ნორსჰემთონი-კასტრი 45:0.

საბურნირო მდგომარეობა

1. მანსტერი - 16 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 11, 3. ნორსჰემპთონი - 8, 4. კასტრი - 6.

V ტური

მანსტერი-კასტრი, ჰლანეჰლი-ნორსჰემპთონი

C ჯგუფში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე" შოტლანდიურ „გლაზგოსთან" მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

ანგარიში მატჩში 33-ე წუთზე გაიხსნა. ლელო **იან ოდურნიმ** მიითვალა და მასპინძლებმა პირველი ნახევარი მშარლად 7:0 მოიგეს. მონპელიელებს მატჩის სადავეები ხელიდან არც შესვენების შემდეგ გაუშვიათ, თუმცა შოტლანდიელებმა მათი რამდენიმე შეცდომით ისარგებლეს და მონპელიედან ორი ქულა წაიღეს.

შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე ნარიაშვილმა შეცვალა, გორგოძე მოედანზე 70-ე წუთიდან გამოჩნდა, ჟღენტი განაცხადში არ იყო. „მონპელიეს" ახლა 6 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა.

ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ლენსტერმა", რომელიც 16 ქულით ლიდერობს, შინ დაამარცხა დიდი ანგარიშით ინგლისური „ბასი" - 57:27.

C ჯგუფი

მონპელიე-გლაზგო 13:13, ლენსტერი-ბასი 57:27.

საბურნირო მდგომარეობა

1. ლენსტერი - 16 ქულა, 2. გლაზგო - 10, 3. მონპელიე - 6, 4. ბასი - 6.

IV ტური

მონპელიე-ბასი, გლაზგო-ლენსტერი

დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა", რომელიც აქამდე D ჯგუფის ლიდერი იყო, სტუმრად წაგო ინგლისურ „ლესტერთან" - 19:23. „ვულკანებმა" პირველი ტაიმი ცხრა ქულის სხვაობით 16:7 მოიგეს, თუმცა მერე, ანგარიშში სასურველი სხვაობის შენარჩუნება ვეღარ შეძლეს.

ზირაქაშვილი ტრავმირებულია. „კლერმონს" ახლა 11 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურზეა. მას სამი ქულით უსწრებს ლიდერი, ირლანდიური „ალსტერი", რომელმაც სტუმრად მოუგო იტალიურ „აირონს" - 46:20.

D ჯგუფი

ლესტერი-კლერმონი 23:19, აირონი-ალსტერი 20:46.

საბურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 14 ქულა, 2. ლესტერი - 12, 3. კლერმონი - 11. 4. აირონი - 0.

V ტური

აირონი-კლერმონი, ალსტერი-ლესტერი.

B ჯგუფი

ედინბურგი-კარდიფი 19:12, ლონდონ აირიში-მეტრო რასინგი 19:25.

საბურნირო მდგომარეობა

1. კარდიფი - 13 ქულა, 2. ედინბურგი - 13, 3. ლონდონ აირიში - 8, 4. მეტრო რასინგი - 7.

V ტური

ლონდონ აირიში- კარდიფი, მეტრო რასინგი-ედინბურგი

E ჯგუფი

ოსფრიზი-სარასენზი 13:16, ბიარიცი-ბენეტონი 29:12.

საბურნირო მდგომარეობა

1. სარასენზი - 14 ქულა, 2. ბიარიცი - 12, 3. ოსფრიზი - 8, 4. ბენეტონი - 6.

V ტური

ოსფრიზი-ბენეტონი, სარასენზი-ბიარიცი.

F ჯგუფი

გლოსტერი-კონოთი 23:19, ტულუზი-ჰარლიქუინზი 24:31.

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 12 ქულა, 2. ჰარლიქუინზი - 12, 3. გლოსტერი - 9, 4. ქონოთი - 2.

V ტური

ტულუზი-ქონოთი, ჰარლიქუინზი-გლოსტერი.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდიდან ორი, „ტულონი" და „ბრივი" თავიანთი ჯგუფების ლიდერები არიან.

B ჯგუფში **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" შინ დამაჯერებლად დაამარცხა ინგლისური „ნიუკასლი" - 36:10 და სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე დაბრუნდა. ტულონელებს 15 ქულა დაუგროვდათ და „ნიუკასლს" ორი ქულით უსწრებენ.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო, მიქაუტაძესა და ჩილაჩავს არ უთამაშიათ. ამავე ჯგუფში **ტარიელ რატიანიძისა** და **გურამ კვთიძის** „ლიონმა" სტუმრად იოლად სძლია იტალიურ „პადოვას" - 43:3 და ინგლისურ კლუბს წამოეწია. ლიონელებს 10 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან.

კვთიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძეს არ უთამაშია.

B ჯგუფი

პადოვა-ლიონი 3:43, ტულონი-ნიუკასლი 36:10.

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 15 ქულა, 2. ნიუკასლი - 13, 3. ლიონი - 10, 4. პადოვა – 0.

V ტური

ნიუკასლი-პადოვა, ტულონი-ლიონი.

E ჯგუფში დაუმარცხებლად ასპარეზობს **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი", რომელმაც შინ დაამარცხა ესპანური „ლა ვილა" - 38:13. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

ამავე ჯგუფში, **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა" სტუმრად წააგო ინგლისურ „სეილ შარქსთან" 21:41. შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 41-ე წუთიდან გამოჩნდა.

E ჯგუფი

ბრივი-ლა ვილა 38:13, სეილ შარქსი-აჟენი 41:21.

საბურნირო მდგომარეობა

1. ბრივი - 18 ქულა, 2. სეილ შარქსი - 15, 3. აჟენი - 5, 4. ლა ვილა – 0.

V ტური

ბრივი-აჟენი, ლა ვილა-სეილ შარქსი.

A ჯგუფი

სტად ფრანსე-კროკიატი 45:3, ვორსტერი-ბუქარესტი 57:13.

საბურნირო მდგომარეობა

1. სტად ფრანსე - 19 ქულა, 2. ვორსტერი - 15, 3. ბუქარესტი - 5, 4. კროკიატი - 0.

V ტური

ბუქარესტი-სტად ფრანსე, ვორსტერი-კროკიატი.

C ჯგუფი

ბორდო-როვიგო 15:10, ვოსფსი-ბაიონი 25:11.

საბურნირო მდგომარეობა

1. ვოსფსი - 14 ქულა, 2. ბაიონი - 13, 3. ბორდო - 9, 4. როვიგო - 1.

V ტური

ბორდო-ბაიონი, როვიგო-ვოსფსი.

D ჯგუფი

პრატო-პერპინიანი 13:30, ნიუპორტი-ექსეტერი 16:11.

საბურნირო მდგომარეობა

1. პერპინიანი - 14 ქულა, 2. ექსეტერი - 10, 3. ნიუპორტი - 9, 4. პრატო - 0.

V ტური

პრატო-ექსეტერი, პერპინიანი-ნიუპორტი.

ბესიკ ჯანგავაძე

მამუკა გორგოძე

msy.gov.ge

● კალათბურთი

მაიამი სპოელსტრას ენდობა

რიკი რუბიომ პირველი მატჩი ჩაატარა მინესოტას მაისურით

„მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა მთავარ მწვრთნელ **ერიკ სპოელსტრას**. 41 წლის სპეციალისტის მიმდინარე ხელშეკრულებას 2012 წლის ზაფხულში გასდის ვადა. გასულ სეზონში სპოელსტრას ხელმძღვანელობით „მაიამიმ“ რეგულარულ ჩემპიონატში 58 მატჩი მოიგო და 24-ჯერ დამარცხდა, გარდა ამისა, პლეი ოფის ფინალამდე მიაღწია და იქ სერია დათმო „დალასთან“.

„ჩვენ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გვყავს. ერიკი ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია, ამიტომაც მას კონტრაქტი შევთავაზეთ, რათა არავინ მოინდომოს მისი წართმევა. ამ მომენტისთვის სპოელსტრა - იდეალური ვარიანტია „ჰიტისთვის“, - ამბობს კლუბის პრეზიდენტი **პატ რაილი**.

■ ■ ■

„სან ანტონიოს“ ხელმძღვანელობამ ფორვარდ **სტივ ნოვაკთან** ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ გამოაცხადა. გასულ სეზონში „სპურსმა“ ორჯერ გააფორმა 28 წლის კალათბურთელთან 10-დღიანი კონტრაქტი. ტექსასურ კლუბში ჩატარებულ 23 მატჩში ნოვაკის შედეგიანობა 4.0 ქულას უდრიდა.

ეს კალათბურთელი 2006 წლის დრაფტზე 32-ე ნომრად აირჩია „ჰიუსტონმა“. გარდა ამისა, ნოვაკს NBA-ში „კლიპერსისა“ და „დალასის“ რიგებში უთამაშია.

■ ■ ■

ფორვარდი **ტროი მერფი** „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ ჩაირიცხა. მხარეებმა ერთწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს, რომლის შესახებ პრესისთვის უცნობი დარჩა.

გასულ სეზონში მერფიმ 17 მატჩი ჩაატარა „ბოსტონის“ რიგებში და საშუალოდ 2.6 ქულა და 2.2 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზმა“ შეინარჩუნა მცველი **როდნი სტაკი**. რამდენიმე დღის წინ ამ კალათბურთელმა უარყო კლუბის მიერ შეთავაზებული ხუთწლიანი და 45-მილიონიანი კონტრაქტი. ახლა კი დათანხმდა სამწლიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც 25 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში სტაკის საშუალო შედეგიანობა 15.5 ქულას უდრიდა.

■ ■ ■

„მინესოტა ტიმბერვულვზმა“ კონტრაქტი გააფორმა თავისუფალ აგენტ **ბონზი უელსთან**. ვეტერანმა ფორვარდმა ბოლო ორი სეზონი ჩინეთისა და პუერტო რიკოს ლიგებში გაატარა.

უელსს NBA-ში 591 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი კარიერული მონაგარი 12.1 ქულასა და 4.7 მოხსნას შეადგენს.

■ ■ ■

ამასობაში NBA-ის კლუბებმა საკონტროლო მატჩებით გააგრძელეს ახალი სეზონისთვის მზადება. გუშინ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა რიკი რუბიოს დებიუტი „მინესოტას“ შემადგენლობაში. ესპანელი ვარსკვლავი სათადარიგოთა სკამიდან შევიდა თამაშში, ჯამში 24 წუთი დაყო მოედანზე და 6 ქულა, 6 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი დააგროვა. რიკიმ თამაშიდან ოთხჯერ ისროლა და მხოლოდ ერთი ჩააგდო, სამაგიეროდ, ოთხიდან ოთხი საჯარიმო მოათავსა კალათში. „მინესოტამ“ 21 ქულით მოუგო „ძილუოკის“.



რიკი რუბიო

16 დეკემბერი

ინდიანა-ჩიკაგო 86:95

33:22, 14:30, 24:20, 15:23

ი: ჰენსბრო (19+11 მოხსნა), ჯორჯი (17+10 მოხსნა), ჰიბერტი (14), გრეინჯერი (12), კოლისონი (12) - სტარტი; ჰილი (3), რაში (3), ფოსტერი (3), ჯონსი (3), სტივენსონი (3).

ჩ: როუზი (16), დენგი (16+6 მოხსნა), ნოა (10+8 მოხსნა), ბუზერი (7+6 მოხსნა), ბრიუერი (5) - სტარტი; უოტსონი (15), გიბსონი (12+9 მოხსნა), ბატლერი (8), კორვერი (4+6 მოხსნა), ამიქი (2).

ვაშინგტონი-ფილადელ. 78:103

17:25, 18:31, 16:31, 27:16

ვ: ლუისი (4), ბლეტჩი (18), მაკგი (9+8 მოხსნა), დ. კროუფორდი (6), უოლი (8) - სტარტი; სინგლტონი (5), მეისონი (8), ვესელი (7), სერაფინი (6+5 მოხსნა), მეკი (5), ოუენსი (2).

ფ: იგუოდალა (0+5 პასი), ბრენდი (11+5 მოხსნა), ჰოგზი (14+9 მოხსნა), მიქსი (8), ჰოლიდეი (12+5 პასი) - სტარტი; ტ. იანგი (10), ლ. უილიამსი (19), ტერნერი (16+7 მოხსნა), ბრეკინსი (6), სპეიტსი (4+7 მოხსნა), სილასი (3).

დეტროიტი-კლივლენდი 87:91

15:19, 24:24, 22:23, 26:25

დ: დ. უილკინსი (4), ვილანუევა (10+6 მოხსნა), მონროო (12+13 მოხსნა), გორდონი (17+6 მოხსნა), უ. ბინუმი (9) - სტარტი; ფერებკო (4), დეი (18+6 მოხსნა+5 დაფარება), ნაითი (9), მაქსიელი (4).

კ: ჯი (3+8 მოხსნა), ჯეიმისონი (13+6 მოხსნა), ვარეჟაო (10), პარკერი (7), სეშენსი (7+6 მოხსნა) - სტარტი; ეიენგა (2+5 მოხსნა), ირვინი (21+6 მოხსნა), ტომპსონი (8), სამუელსი (15+7 მოხსნა).

მემფისი-ნიუ ორლეანი 90:97

24:28, 23:17, 26:26, 17:26

მ: გეი (15), რენდოლფი (8), სკინერი (4), ტ. ალენი (17), ვასკესი (7+6 პასი) - სტარტი; სელბი (2), მაიო (12), დევისი (5), პარგო (15+7 პასი), შარპი (5+5 მოხსნა).

ნ-ო: არიზა (11+5 პასი), ტომასი (7+8 მოხსნა), ოკაფორი (12+5 მოხსნა), ბელინელი (9), ჯეკი (24+6 მოხსნა+6 პასი) - სტარტი; პონდექსტერი (12+5 მოხსნა), ტ. ჯონსონი (8), კ. ჯონსონი (10), ანდერსენი (4).

17 დეკემბერი

ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 83:92

23:24, 19:26, 24:19, 17:23

ნ-ჯ: დ. ჯეიმსი (7), შ. უილიამსი (4+6 მოხსნა), ლოპესი (15+11 მოხსნა+5 დაფარება), მორუ (15), დ. უილიამსი (9+6 პასი) - სტარტი; პეტრო (4+6 მოხსნა), ფარმარი (2), გრემი (6), ბრუქსი (10), ჰორნერი (4), უოდოკა (2), გეინსი (2), კარი (2), სმიტი (1).

ნ-ი: ენტონი (17), სტაუდმაიერი (10+6 მოხსნა), ჩენდლერი (4), ფილდსი (7+7 მოხსნა), დუგლასი (5+5 პასი+5 მოხსნა) - სტარტი; ბიბი (5), შუმპერტი (16), ბოლკმენი (20), ჰერელსონი (7), ჯეფრიზი (1).

პუსტონი-სან ანტონიო 101:87

24:20, 27:16, 20:29, 30:22

პ: სკოლა (20), ჰილი (17+13 მოხსნა), ლოური (9+5 პასი), ბადინგერი (7+6 მოხსნა), მარტინი (7) - სტარტი; უილიამსი (14+9 მოხსნა), დრაგიჩი (11), ლი (6), ტაბიტი (4), სმიტი (3), ფლინი (2), მორისი (1).

ს-ა: ბლეირი (16+7 მოხსნა), ჯინობილი (16), სპლიტერი (13), ფორდი (8+6 პასი), ჯეფერსონი (2) - სტარტი; ბონერი (12), გრინი (5), ჯოზეფი (4), ანდერსონი (4), ლეონარდი (2+6 მოხსნა), ნოვაკი (2), ჰასელი (2), ჰუდი (1).

მინესოტა-მილუოკი 117:96

26:24, 36:28, 30:26, 25:18

მინ: ლავი (21+15 მოხსნა), ბიზლი (21+6 მოხსნა), რიდნური (9), ჯონსონი (5+8 მოხსნა), მილიჩიჩი (5+3 დაფარება) - სტარტი; ბარეა (14+6 პასი), უილიამსი (14), ტოლივერი (7), რუბიო (6+6 მოხსნა+7 პასი), ელინგტონი (5), რენდოლფი (4), ლი (3), პეკოვიჩი (2), უელსი (1).

მილ: დანლივი (16+5 პასი), დელფინო (11), ბოგუტი (9+6 მოხსნა), ჯენინგსი (7), გუდენი (2) - სტარტი; ლიე (18), უდრიხი (9), ლივინგსტონი (8), ბროკმანი (4), ჰობსონი (4), ჰარისი (4), ილიასოვა, მბა ა მუტე (2).

გ. სტეიტი-საკრამენტო 107:96

29:18, 30:22, 17:29, 31:27

გ-ს: კარი (22+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ელისი (18+8 პასი), ლი (16+8 მოხსნა), რაიტი (11+6 მოხსნა), ბიედრინსი (2) - სტარტი; უდო (10), ტომპსონი (9), მაკგუაირი (5+6 მოხსნა), ჯენკინსი (4), ტაილერი (2), სმიტი (2), უბაილსი (2), ჰაზუჰი (2) პიკეტი (2).

ს: ფრედეტი (21), ტორნტონი (21), ევანსი (17+7 პასი), ტომპსონი (6), ჰიქსონი (2+7 მოხსნა) - სტარტი; ტომასი (13), გრინი (11), გარსი[illegible] (3), უაიტსაიდი (2).

კობის ორმაგი უსიამოვნება

“ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** განაცხადა, რომ კატეგორიულად არ იზიარებს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას.

“რისი იმედი აქვთ “ლეიკერსის” ბოსებს? წარმოდგენა არ მაქვს. სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რისი მიღწევა სურთ მათ. შემიძლია გითხრათ, რომ ამ მომენტისთვის “კლიპერსი” გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე “ლეიკერსი”.

რთული გასაგებია, რა მიზნით ხელმძღვანელობდა კლუბის ხელმძღვანელობა ლამარ ოდომის გაცვლისას, რომელმაც შარშან კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. თანაც ის გაუშვეს “დალასში”, რომელმაც პლეი ოფიდან გამოგვაგდო”, - ამბობს ბრაიანტი ამერიკული პრესისთვის მიცემულ კომენტარში.

■ ■ ■

ამასობაში, კობი ბრაიანტის მეუღლემ **ვანესამ** განქორწინებაზე შეიტანა განცხადება. მიზეზად ქალმა „შეურიგებელი უთანხმოება“ დაასახელა.

მას ქორწინების გაუქმება ჯერ კიდევ 2003 წელს სურდა, როცა 19 წლის სტუდენტის გაუპატიურების სკანდალი აგორდა. ბრაიანტი არ მალავდა, რომ მართლაც ჰქონდა გოგონასთან სექსი, მაგრამ მისი მხრიდან არანაირი ძალადობა არ ყოფილა და კავშირი ორმხრივი შეთანხმებით დამყარდა. საბოლოოდ, ეს ისტორია კალათბურთელისთვის უმტკივნეულოდ დასრულდა. ვანესამ აპატია კობის მას შემდეგ, რაც ბრაიანტმა მას 4 მილიონ დოლარად შეფასებული ბეჭედი აჩუქა.

ახლა, როგორც ჩანს, ბრაიანტი ასე იოლად ვერ გამოვა სიტუაციიდან. როგორც ამერიკული პრესა წერს, ვანესამ ისევ გამოიჭირა მეუღლე ღალატში. *„მრავალწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში ვანესა არაერთხელ დადგა მეუღლის მხრიდან ღალატის ფაქტის წინაშე, მაგრამ ამჯერად მისი მოთმინება ამოიწურა“*, - წერს წყარო.

კობის არ სურს შეურიგდეს ოჯახის დანგრევას. ის ყველაფერი აკეთებს იმისთვის, რომ გადაარჩინოს 10-წლიანი ქორწინება. მით უმეტეს, რომ განქორწინების გამო ის იშვიათად შეხვდება შვილებს, რადგან ვანესა უარს ამბობს მათ ერთობლივ მზრუნველობაზე. გარდა ამისა, ქალს ეკუთვნის კალათბურთელის ქონების ნახევარი.

იყიდა და დაკარგა

უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს „ბოსტონ სელტიქსის“ გულშემატკივრებმა. ამ გუნდის ფორვარდი **ჯეფ გრინი** მთლიანად გამოტოვებს 2011-12 წლების სეზონს. კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კალათბურთელს გულის ოპერაცია ესაჭიროება.

25 წლის გრინმა გასულ კვირას 9 მილიონ დოლარად შეფასებული კონტრაქტი გააფორმა „ბოსტონთან“, რასაც ტრადიციული და ფორმალური სამედიცინო შემოწმება მოჰყვა. სწორედ ამ დროს აღმოაჩინეს ექიმებმა გულთან დაკავშირებული პრობლემები - კერძოდ, ჯეფს აორტას ანევრიზმა აქვს. მედიკოსთა პროგნოზებით, გრინი 2012-13 წლებში შეძლებს კარიერის განახლებას.

გრინი „ბოსტონში“ „ოკლაჰომადან“ გადავიდა. შარშან ფორვარდმა ამ გუნდში 75 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 13.3 ქულა და 4.8 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ჯეფ გრინი

● ოლიმპიზმი

კატარს მუნდიალი არ ჰყოფნის

მას შემდეგ, რაც კატარმა მოიგო ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, ამ პატარა, მაგრამ მდიდარი ქვეყნის მთავრობას ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ორგანიზების ამბიცია გაუჩნდა. კატარში ეცდებიან მოიპოვონ 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება. ქვეყანა ცდილობს მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მშვიდობისმყოფელის როლისგან, რომელიც მან ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური კრიზისისას ითამაშა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ანალიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს იმ ქვეყნის გამარჯვებას მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, რომელსაც არასოდეს უთამაშია მუნდიალის ფინალურ ეტაპზე. მაგრამ კატარის სპორტული ჩინოვნიკები არად აგდებენ მსგავს მოსაზრებებს და აცხადებენ, რომ ქვეყანამ უკვე დაიწყო მზადება 2020 წლის ოლიმპიადისთვის განაცხადის მოსამზადებლად.

■ ■ ■

ამასობაში, აშშ-ის ქალაქი დენვერი ამზადებს განაცხადს 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მისაღებად. სპეციალური კომიტეტი სულ მალე წარუდგენს პროექტს დენვერის მერს **მაიკლ ჰენკოკს**, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ იდეა მოწონებას იმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1976 წელს დენვერს მიანდო ოლიმპიადის ორგანიზება, მაგრამ მოგვიანებით ქალაქმა უარი თქვა თამაშების ჩატარებაზე. მაშინ საზოგადოებრივ მოლვაწეთა ჯგუფმა იმდენი გააკეთა, რომ დენვერს უარის თქმამ მოუწია. მიზეზად გარემოს დაბინძურება მოიყვანეს.

საბოლოოდ, 1976 წელს ოლიმპიადას ავსტრიის ინსბრუკმა უმასპინძლა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ ძველი მოვლენები არ იმოქმედებს დენვერის ახალ საარჩევნო კამპანიაზე.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ნიდერმაიერი სამუდამოდ

სკოტ ნიდერმაიერის დაფასება

გასულ უქმეებზე „ნიუ ჯერსისა“ და „დალასის“ მატჩის წინ გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც „დევილზის“ ლეგენდარულ მცველს **სკოტ ნიდერმაიერს** მიეძღვნა. კლუბის ხელმძღვანელობამ ხმარებიდან ამოიღო 27-ე ნომერი, რომლითაც ჰოკეისტი 12 წელი თამაშობდა „ეშმაკების“ რიგებში და ამ კლუბთან ერთად სამჯერ მოიგო სტენლის თასი.

სკოტი მესამე ჰოკეისტია „ნიუ ჯერსის“ ისტორიაში, ვისაც ამგვარი პატივი ხვდა წილად. მანამდე „დევილზის“ საშინაო არენის თაღზე დაკიდეს ორი მცველის - **კენ დანეიკოსა** (მე-3 ნომერი) და **სკოტ სტივენსის** (4) მაისურები.

ნიდერმაიერმა კარიერა 2010 წელს „ანაჰაიმის“ შემადგენლობაში დაასრულა. 2007 წელს ამ კლუბთან ერთად მან მეოთხედ მოიგო სტენლის თასი.

„როცა 20 წლის ასაკში დრაფტზე ამირჩიეს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ლიგაში ასეთი კარიერა მექნებოდა, - განაცხადა ნიდერმაიერმა 35-წუთიანი ცერემონიის დროს. - ჩემთვის საპატიო და სასიამოვნო იყო „ნიუ ჯერსის“ რიგებში თამაში. იმ წლების მოგონებები სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში“.

■ ■ ■

მოვა დრო და სავარაუდოდ, ასეთივე პატივს მიაგებენ „ნიუ ჯერსის“ ჩეხ ფორვარდს **პატრიკ ელიაშს**. „მონრეალთან“ მატჩში ამ ჰოკეისტმა დუბლი შეასრულა და „დევილზის“ რიგებში გატანილი შაიბების რიცხვი 348-მდე აიყვანა. ეს ახალი საკლუბო რეკორდია, რომელიც მანამდე **ჯონ მაკლინს** ეკუთვნოდა.

ელიაში უკვე დიდი ხანია „ეშმაკების“ საუკეთესო ასისტენტი და საუკეთესო ბომბარდირია, ახლა კი პირველი გახდა სნაიპერებს შორის.

35 წლის ჩეხი 1994 წლის დრაფტზე 51-ე ნომრად აირჩიეს. ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მან 933 მატჩი ჩაატარა და 845 ქულა (348+497) დააგროვა.

კროსბი ისევ ტრავმირებულთა სიაშია

სიდნი კროსბი

გუშინ „პიტსბურგ პინგვინზის“ ხელმძღვანელობამ ტრავმირებულთა სიაში შეიყვანა გუნდის ლიდერი და კაპიტანი **სიდნი კროსბი**, რითაც დაადასტურა, რომ კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი ისევ ტრავმირებულია. კერძოდ, სიდს კვლავ ტვინის შერყევა აწუხებს.

მაგრამ თავისი ლიდერის არანაირი ტრავმა არ შეუშლის ხელს „პიტსბურგს“ სიდნი კროსბის შენარჩენებაში. ფორვარდი 2013 წლის ზაფხულში გახდება თავისუფალი აგენტი და კლუბი უკვე აქედანვე იწყებს ზრუნვას კაპიტანთან ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად.

„ჩვენი მიზანი - კროსბის ახალი კონტრაქტია. გვინდა, რომ სიდმა მთელი კარიერა „პიტსბურგში“ გაატაროს. ბოლო დღეების მოვლენები არაფერს ცვლის.

პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ კროსბი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ 10-15 წელს გაატარებს. ყველამ ვიცით, რომ თუ კროსბი ჯანმრთელია, მასზე ძლიერი ჰოკეისტი ლიგაში არ არსებობს“, - განაცხადა „პიტსბურგის“ გენერალურმა მენეჯერმა **რეი შერომ**.

დერეკ სატერი

ამასობაში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ ერთმა მწვრთნელმა დაკარგა სამსახური. „მონრეალის“ ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან დაითხოვა მთავარი მწვრთნელი **ჟაკ მარტენი**, რომელიც კლუბში 2008 წლიდან მუშაობდა. სეზონის ბოლომდე „კანადიენსის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელი იქნება მარტენის ასისტენტი **რენდი კანივორტი**.

ამ მომენტისთვის NHL-ის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი 33 ქულით მე-11 ადგილს იკავებს აღმოსავლეთ დივიზიონში.

ეს უკვე მეექვსე სამწვრთნელო ცვლილებაა წლევანდელი სეზონის მსვლელობისას. მანამდე პოსტები დაკარგეს: **დევის პეინმა** („სენტ ლუისი“), **ბრიუს ბუდრომ** („ვაშინგტონი“), **პოლ მორისმა** („კაროლინა“), **რენდი კარლაილმა** („ანაიამი“) და **ტერი მიურეიმ** („ლოს ანჯელესი“).

■ ■ ■

„ლოს ანჯელესის“ ხელმძღვანელობამ უკვე იპოვა მიურეის შემცვლელი. „კინგზის“ ახალ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ცნობილი სპეციალისტი **დერილ სატერი**.

კარიერის განმავლობაში სატერი „ჩიკაგოს“, „სან ხოსესა“ და „კალგარის“ წვრთნიდა, ამასთან, „ფლეიმზში“ 2002-06 წლებში ის პარალელურად გენერალური მენეჯერის ფუნქციებს ასრულებდა. 2004 წელს სატერმა „კალგარი“ სტენლის თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ იქ შვიდ მატჩში დამარცხდა „ტამპა ბეისთან“.

16 დეკემბერი

ნიუ ჯერსი-დალასი 6:3

1:1, 3:1, 2:1

გოლები: 0:1 რაიდერი-10 (ლ. ერიქსონი-14, ბენი-19), 1:1 კლარკსონი-10 (ელიაში-16, პარიზე-14), 1:2 მოროუ-6 (რიბეირო-19, ოტი-9), 2:2 ენრიკე-8 (პარიზე-15), 3:2 კოვალჩუკი-10 (პარიზე-16, ა. ლარსონი-9), 4:2 სიკორა-7 (იანსენი-1, რ. კარტერი-2), 5:2 პარიზე-11 (ა. ლარსონი-10, კოვალჩუკი-13), 5:3 პეტერსენი-2 (სურეი-10, დოუელი-2), 6:3 ელიაში-11 (ზუბრუსი-7, სიკორა-9).

ფლორიდა-კალგარი 3:2 (ბ)

1:1, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ბერგენჰაიმი-5 (სამუელსონი-3, მატიასი-6), 1:1 ო. იოკინენი-10 (გლენკროსი-8, იგინლა-11), 1:2 ბურკი-11 (ო. იოკინენი-15, ტანგეი-16), 2:2 ბერგენჰაიმი-6 (მატიასი-7, სამუელსონი-4).

ბულიტები გაიტანეს: ტანგეი (კალგარი), კულიკოვი (ფლორიდა), უეისი (ფლორიდა).

ოტავა-პიტსბურგი 6:3

0:0, 5:3, 1:1

გოლები: 1:0 გრინინგი-8 (სპეცა-23, კოუენი-4), 1:1 სალივანი-6 (ეშმი-8, ვიტალე-6), 2:1 სპეცა-11 (ალფრედსონი-11, ე. კარლსონი-25), 3:1 ალფრედსონი-9 (სპეცა-24, ლი-4), 3:2 ნისკანენი-2 (სალივანი-10, კუნიტცი-9), 3:3 მალკინი-12 (სალივანი-11, ჯ. ნილი-13), 4:3 კოუენი-4 (ფოლინო-10, ე. კარლსონი-26), 5:3 კონოპკა-3 (ე. კარლსონი-27, კოუენი-5), 6:3 სპეცა-12 (ალფრედსონი-12, კოუენი-6), 6:4 კუნიტცი-10 (დესპრე-2, მალკინი-19).

ბაფალო-ჭორონტო 5:4

0:0, 4:2, 1:2

გოლები: 0:1 ლუპული-14 (კესელი-19), 1:1 სტეფორდი-6 (ვანეკი-16, პომინვილი-23), 1:2 ფანოფი-4 (ბოჟაკი-13, ლაილსი-15), 2:2 ვანეკი-15 (კასიანი-3), 3:2 ენისი-3 (პომინვილი-24, ვანეკი-17), 4:2 სეკერა-2 (ერჰოფი-13, ენისი-2), 4:3 კულემინი-3 (ბულიტი), 5:3 ვანეკი-16 (როი-14), 5:4 გრაბოვსკი-8 (გუნარსონი-8, კრები-4).

ჩიკაგო-ანაჰაიმი 4:1

1:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 მეიერსი-3 (ბრუნეტი-6, სკოტი-1), 2:0 მარიან ჰოსა-14 (მარპი-17), 3:0 ბოლანდი-8 (ლედი-16, ემერი-1), 4:0 შარპი-17 (მარიან ჰოსა-20), 4:1 სელიანე-10 (ჰაგმანი-5, პალმიერი-1).

17 დეკემბერი

ფილადელფია-ბოსტონი 0:6

0:4, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ჰუიო-5 (პევერლი-16), 0:2 პეი-6 (ზაიდენბერგი-7, კორვო-12), 0:3 ხარა-7 (კრეისი-13, პევერლი-17), 0:4 ლუჩიჩი-11 (კორვო-13, სეგუინი-14), 0:5 ჰორტონი-9 (ხარა-14, პევერლი-18), 0:6 სეგუინი-14 (მარშანი-12, ფერენსი-10).

კოლამბუსი-ტამპა ბეი 2:3

0:2, 2:1, 0:0

გოლებიქი: 0:1 ბ. ჯონსი-2 (პურსელი-11), 0:2 ბრიუერი-1 (სტემკოსი-17, მელოუნი-9), 1:2 უმბერგერი-6 (პროსპალი-18, ტიუტინი-11), 1:3 სტემკოსი-20 (ლეკავალიე-11, ტირელი-5), 2:3 ნეში-10 (ჯ. კარტერი-6, პროსპალი-19).

დეტროიტი-ლოს ანჯელესი 8:2

4:1, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 მილერი-4 (ჰელმი-5, ქლირი-6), 2:0 ემერტონი-2 (ჯ. ერიქსონი-4, ჰოლმსტრიომი-8), 3:0 კრონვალი-7 (ქლირი-7, ჰელმი-6), 3:1 დრიუსკი-2 (ჯასტინ უილიამსი-14, პენერი-4), 4:1 ემერტონი-3 (აბდელკადერი-5, ჰოლმსტრიომი-9), 4:2 სტოლი-3 (ჯასტინ უილიამსი-15, პენერი-5), 5:2 ზეტერბერგი-8 (ჰუდლერი-14, კრონვალი-8), 6:2 დაციუკი-10 (ფრანცენი-16, ბერტუცი-10), 7:2 მილერი-5 (ქლირი-8), 8:2 ბ. სტიუარტი-4 (ემერტონი-2, კრონვალი-9).

ვინიპეგი-ანაჰაიმი 5:3

2:2, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 უელვუდი-8 (ანტროპოვი-12, ბოგოსიანი-11), 2:0 ველერი-3 (ბაფლინი-16, ენსტრიომი-6), 2:1 ჰაგმანი-5 (სელიანე-22, სიბრუკი-2), 2:2 პერი-13 (გეტცლაფი-18, ელისი-1), 3:2 ბურმისტროვი-7 (ე. კეინი-10, ბოგოსიანი-12), 4:2 ლედი-10 (ბაფლინი-17, უელვუდი-12), 5:2 ბოგოსიანი-2 (ტორნბურნი-2), 5:3 პერი-14 (გეტცლაფი-19, სელიანე-23).

პიტსბურგი-ბაფალო 8:3

4:1, 2:0, 2:2

გოლები: 1:0 ჯეისონ უილიამსი-1 (პიკარი-2, კ. ადამსი-4), 2:0 დესპრე-1 (ტაილერ კენედი-10, ჯეისონ უილიამსი-1), 3:0 მალკინი-13 (კუნიტცი-10, ორპიკი-5), 3:1 ვანეკი-17 (რეგერი-2, პომინვილი-25), 4:1 მალკინი-14 (სნიპი-1, პიკარი-3), 5:1 ჯ. ნილი-18 (მალკინი-20, ნისკანენი-9), 6:1 ენგელანდი-2 (ეშმი-9, დუპუი-14), 6:2 ლ. ადამი-10, 6:3 გოსტადი-2 (სტეფორდი-11, სეკერა-6), 7:3 მალკინი-15 (ჯ. ნილი-14, ნისკანენი-10), 8:3 კუნიტცი-11 (მალკინი-21, ენგელანდი-8).

მონრეალი-ნიუ ჯერსი 3:5

0:1, 3:2, 0:2

გოლები: 0:1 სიკორა-8 (ზუბრუსი-8, ენრიკე-17), 1:1 სუბანი-2 (ტ. კაბერლე-14, კამალერი-11), 1:2 ელიაში-12 (კოვალჩუკი-14, ფოსტერი-2), 2:2 კამპოლი-1 (ი. უებერი-8, გილი-3), 3:2 ელერი-3 (ლებლანი-2, გილი-4), 3:3 კლარკსონი-11 (ა. ლარსონი-11), 3:4 ელიაში-13 (სიკორა-10), 3:5 ზუბრუსი-10 (კოვალჩუკი-15, ფოსტერი-3).

ტორონტო-ვანკუვერი 3:5

1:1, 1:2, 1:2

გოლები: 0:1 ჰიგინსი-9 (ედლერი-17, სალო-9), 1:1 ლუპული-15 (ბოჟაკი-14, ლაილსი-16), 1:2 რეიმონდი-3 (კესლერი-16, ჰიგინსი-12), 2:2 ბოჟაკი-7 (კესელი-20), 2:3 დ. სედინი-13 (ბაროუზი-8, ბიეკსა-12), 2:4 ბაროუზი-11 (ჰ. სედინი-28, ჰამჰუისი-14), 3:4 კესელი-19 (ბოჟაკი-15, ლაილსი-17), 3:5 ჰანსენი-10.

ფინიქსი-რენჯერსი 2:3

1:1, 1:0, 0:2

გოლები: 0:1 გაბორიკი-16 (დელ ზოტო-13, სტეპანი-14), 1:1 კორპიკოსკი-8 (ბ. გორდონი-9), 2:1 კ. ო'რაილი-1 (დოუნი-13, ვრბატა-12), 2:2 გაბორიკი-17, 2:3 ბ. რიჩარდსი-12 (მაკდონაჰი-10, კელეჰანი-11).

მინესოტა-აილენდერსი 1:2 (ბ)

0:0, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ენდრიუ მაკდონალდი-2 (ტავარესი-15, მოულსონი-9), 1:1 კლატერბეკი-9 (კულენი-10, ჰიტლი-13).

ბულიტები გაიტანეს: ნილსენი (აილენდერსი).

ნეშვილი-სენტ ლუისი 2:1 (ბ)

0:0, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ერატი-6 (შ. უებერი-16, ფიშერი-8), 1:1 ოში-10 (ბეკსი-9, პერონი-3),

ბულიტები გაიტანეს: ლეგუანდი (ნეშვილი).

კოლორადო-ვაშინგტონი 2:1

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 მაკლეოდი-1 (ო'ბრაიენი-8, ე. ჯონსონი-12), 1:1 სიომინი-6 (ორლოვი-5, ჯ. ჯორდი-8), 2:1 ე. ჯონსონი-1 (ჰეიდუკი-13, რ. ო'რაილი-17).

სან ხოსე-ედმონტონი 3:2

1:1, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ჰავლატი-2 (ჰანძუში-9, დ. ბოილი-13), 1:1 ებერლე-12 (ტ. ჰოლი-12), 1:2 რ. ჯონსი-10, 2:2 ჯ. ტორნტონი-6 (ვლასიჩი-12, პაველსკი-11), 3:2 მარლო-12 (პაველსკი-12, მაკგინი-5).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ეკვადორი

დეპ. კიტო-ემელეკი	1:0

პარაგვაი

ხენერალი-სპორტივო	2:1
ოლიმპია-რუბიო ნუ	2:1
სოლ დე ამერიკა-ს. პორტენო	2:2

იაპონიის თასი

იოკოჰამა-მაცუმოტო	4:0
კაშიმა-კიოტო	0:1
მიტო-ტოკიო	0:1
ეჰიმე-ურავა	1:3
შიმიცუ-ჯეფ იუნაიტედი	2:0
კავასაკი-შონანი	0:1
სერეზო-ვეგალტა	1:1 პენ. 2:4

კალათბურთი

NBA

ტორონტო-ბოსტონი	75:76

საბერძნეთი

კოლოსოსი-პაოკ	76:67
პერისტერი-რეტიმო	62:75
არისი-ილისიაკოსი	83:67
დრამასი-კავალა	81:58
იკაროსი-ოლიმპიაკოსი	57:105

ესპანეთი

ვალენსია-სევილია	80:84
ლაგუნ არო-ფუენლაბრადა	86:70
უნიკახა-ხუვენტუდი	89:88 (ო)
ალიკანტე-მურსია	63:62
ვალიადოლიდი-გრან კანარია	70:89
ოგრადოირო-ესტუდიანტესი	61:58
რეალი-მანრესა	83:61
კახა ლაბორალი-ბარსელონა	71:60

გერმანია

ოლდენბურგი-არტლანდი	81:99
ულმი-გიოტინგენი	82:71
ბაიერნი-ტრირი	76:70
ლუდვიგსბურგი-ბონი	83:84
ალბა-ბაიროიტი	92:53
ბამბერგი-ბრემერჰავენი	90:58
ბრაუნშვაიგი-სკაილაინერსი	70:77
ტიუბინგენი-გისენი	82:59
ჰაგენი-ვიურცბურგი	73:70

იტალია

მილანი-მონტეგრანანარო	88:72
ბენეტონი-სასარი	80:72
ვანოლი-კავიოლიერი	78:81
ბოლონია-ვენეტია	38:90
მონფერატო-კანტუ	69:65
კაზერტა-ტერამო	97:82 (ო)
რომა-აველინო	96:99 (ო)
ვარეზე-ბიელა	79:73

თურქეთი

ფენერბაჰჩე-ოლინი	80:63
მერსინი-ალიბგა	82:89
ტურკ ტელეკომი-ბანვითი	60:84
პინარი-ერდემი	80:71
ბეშიქთაში-გალათასარაი	73:65
ანტალია-ეფესი	102:106
ბანდირმა-ჰაჩეთეფე	68:74

საფრანგეთი

ტულონი-ლე მანი	79:101
პუატიე-შალონი	55:81
ნანტი-ვილერბანი	97:81
პო ორტეზი-ნანსი	66:73

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

ქალები. III ადგილი

დანია-ესპანეთი	18:24

ფინალი

ნორვეგია-საფრანგეთი	32:24

ჩემპიონთა ლიგა

კილი-კოპენჰაგენი	28:26
მონპელიე-პიკ სეგედი	29:26

პოკერი

ევროგული

რუსეთი-შვედეთი	2:4
ჩეხეთი-ფინეთი	5:1
რუსეთი-ჩეხეთი	3:4 (ო)
შვედეთი-ფინეთი	3:4

გერმანია

ვოლფსბურგი-აუგსბურგი	3:2
ჰამბურგი-აისბარენი	1:3
ჰანოვერი-მიუნხენი	0:4
ნიურნბერგი-იზერლონი	1:4
დიუსელდორფი-მანჰაიმი	3:4 (ო)
კრეფელდი-შტრაუბინგი	2:3

ლეგეტაკეთი

კოშიცე-პოპარადი	2:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ხორვატია გორანს ჩააბარებს, არგენტინა აიტს

დევისის თასზე ხორვატიის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ლეგენდარული ჩოგბურთელი **გორან ივანიშევიჩი**. თუმცა 2001 წლის უიმბლდონის ჩემპიონის თანამშრომლობა ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციასთან მხოლოდ ერთი მატჩით შემოიფარგლება. ივანიშევიჩი 2012 წლის დევისის თასის პირველ წრეში უხელმძღვანელებს ხორვატიის ნაკრებს.

საქმე ისაა, რომ გორანმა და ფედერაციამ ვერ შეძლეს უფრო ხანგრძლივ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება. სააგენტო „როიტერის" ცნობით, ივანიშევიჩმა ერთწლიანი კონტრაქტისთვის 130 ათასი დოლარი მოითხოვა, რაც თავის მხრივ, ფედერაციას არ აწყობდა.

ასე რომ, ივანიშევიჩი იაპონიასთან მერვედფინალისთვის მოამზადებს ნაკრებს და შემდეგ დატოვებს კაპიტნის პოსტს.

გარდა ამისა, ახალი კაპიტანი ჰყავს ხორვატიის ქალთა ნაკრებს ფედერაციის თასზე. ეს პოსტი ჩაიბარა როლან გაროსის 1997 წლის ჩემპიონმა **ივა მაიოლიმ**. შეგახსენებთ, რომ ადრე ქალთა გუნდის კაპიტანი **გორან პრპიჩი** გახლდათ, მაგრამ ნოემბერში მან მოულოდნელად დატოვა პოსტი, რომელზეც 11 წელი იმუშავა.

• • •

ასევე გაირკვა დევისის თასზე არგენტინის ნაკრების ახალი კაპიტნის ვინაობა. ეს პოსტი ჩაიბარა ნარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა **მარტინ აიტმა**. 47 წლის სპეციალისტს **მარიანო საბალეტა** დაეხმარება. აიტმა არგენტინის ჩოგბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ წელს ესპანეთის ნაკრებთან ფინალური მატჩის წაგების შემდეგ ქვეყნის ფედერაციამ აღარ გაუგრძელა კონტრაქტი ყოფილ კაპიტან **ტიტო ვასკესს**.

აღვნიშნავთ, რომ მოთამაშის კარიერისას აიტმა ATP-ის 12 ტურნირი მოიგო და მსოფლიო რეიტინგის მეათე პოზიციას მიაღწია.

გია თვალაბეიშვილი

გორან ივანიშევიჩი

ფორმულა 1

არგენტინა სამეფო რბოლებს უმიზნებს

უკანასკნელად არგენტინაში ფორმულა 1-ის ეტაპი 1998 წელს ჩატარდა და ახლა, ეს ქვეყანა, შესაძლოა, 2014 წელს დაბრუნდეს „სამეფო რბოლებში". სნორედ ამ დროისთვის დასრულდება ბუენოს აირესის ახლოს ფორმულა 1-ის ახალი ტრასის მშენებლობა.

არგენტინის დედაქალაქიდან 100 კილომეტრით დაშორებულ დაბა სარატეში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც ახალი ავტოდრომის - Velociudad Speedcity-ის მშენებლობის დაწყებას მიეძღვნა. მომავალი ტრასის სიგრძე 4.7 კილომეტრი იქნება. პროექტის ავტორია ცნობილი ბრიტანული არქიტექტურული ბიურო - Populous.

„ჩვენი მიზანი უნივერსალური ტრასის შექმნაა, რომელიც უმასპინძლებს მოტოგრანპრის ეტაპებს, ლე მანის ტიპის რბოლებს ამტანობაზე და ა. შ. თუ პრომოუტერები იყოჩაღებენ, აქ ფორმულა 1-ის რბოლის ჩატარებაც იქნება შესაძლებელი", - ამბობს Populous-ის წარმომადგენელი **ჯონ როუდსი**.

პროექტი 100 მილიონ დოლარად არის შეფასებული და ის ორ ეტაპად განხორციელდება. თავდაპირველად აშენდება მძღოლების მომზადების ცენტრი (პირველად სამხრეთ ამერიკაში), დაიგება 3.1 კილომეტრის ტრასა და მოეწყობა ბოქსები.

მეორე ეტაპზე ტრასის სიგრძე გაიზრდება, რაც ორგანიზატორებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ლიცენზიის მიღებისა და საერთაშორისო რბოლების ჩატარების საშუალებას მისცემს.

გია თვალაბეიშვილი

ახალი ტრასის მაკეტი

ქრივი

ბრძოლის ეპიზოდი

უორდმა თავისი სიტყვა თქვა!

ანდრე უორდი 15 წლის განმავლობაში გამარჯვებული იყო და შაბათსაც ასეთად დარჩა! უორდმა ბოლოს 1996-ში, 12 წლისამ წააგო, ხოლო მოყვარული მოკრივის კარიერა 2004 წელს ათენის ოლიმპიადის კვარცხლბეკზე ოქროს მედლით დაასრულა. შემდეგ კი დაიწყო პროფესიონალის ცხოვრება, რომელიც ასევე წარმატებით გაგრძელდა. მისი ბოლო მწვერვალი შაბათს, ატლანტიკ სიტის „ბორდუოქ ჰოლში", 5 626 მაყურებლის თვალწინ ბრიტანელი **კარლ ფროჩის** დამარცხება გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ სამი მსაჯიდან ორმა ამერიკელს მხოლოდ ორქულიანი გამარჯვება მიანიჭა (118:110, 115:113, 115:113) მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ მან მონინააღმდეგეს აშკარად აჯობა. შედეგად, უორდმა სუპერსაშუალო წონაში ჟურნალ „რინგის", WBA-ისა და WBC-ის ქამრები მოიპოვა და სპეციალური ტურნირის - Super Six World Boxing Class-ის გამარჯვებულად გამოცხადდა. ასე და ამგვარად, დღეს მსოფლიოში აღარავის უჩნდება კითხვა: ვინ არის საუკეთესო სუპერსაშუალო წონაში? შეჯიბრება, რომელიც სამი წლის წინ დაიწყო და რომელშიც ხსენებული წონითი კატეგორიის ექვსი უდიდესი ვარსკვლავი მონაწილეობდა, ანდრე უორდის ულაპარაკო გამარჯვებით დამთავრდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, სხვა მოკრივეები ხან აღმასვლას განიცდიდნენ და ხანაც ჩავარდნა ჰქონდათ, უორდი კი სტაბილური იყო. და კიდევ ერთი: ფინალში მან ღირსეულ მონინააღმდეგეს აჯობა.

ბრძოლის შემდეგ უორდი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო: *„ვერ ვიჯერებ, ვერ ვიჯერებ!* - იმეორებდა ის. - *რასაკვირველია, მთელი ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ გამივლია გონებაში, რომ ვერ გავიმარჯვებდი, მაგრამ დღეს, როდესაც მიზანს მივაღწიე, დაჯერება მიჭირს. პრესასთან ყოველი შეხვედრის დროს ვიმეორებდი, რომ გეგმა მკაფიოდ მქონდა დასახული. ვიცოდი, რომ ფროჩთან ახლოდანაც მომიხდებოდა ბრძოლა და შორიდანაც, ვიცოდი, რომ ბევრი უნდა მემოძრავა და აი, ყველაფერი კარგად დასრულდა"*.

მართლაც, კრივის მიმომხილველთა საერთო აზრით, ამ დღეს უორდის ნახვა ერთ რამედ ღირდა. განსაკუთრებით მისი დარტყმების სიზუსტე იყო გამორჩეული. ამერიკელმა ერთხელაც არ ააცდინა მარცხენა ჭუკი და რამდენჯერმე მარჯვენათიც კარგად მოსდო ბრიტანელს.

უორდმა განაგრძო: *„არ დაგიმალავთ და ფროჩის სიზანტემ გამაკვირვა. ვიცი, მან რამდენიმე ინტერვიუში განაცხადა, რომ მე დარტყმა არ შემიძლია, თუმცა დღეს, ორჯერ თუ სამჯერ შევამჩნიე, რომ ვატკინე. იყო მომენტები, როდესაც მან სახე ვერ დამალა, ასე კი ქულებს ვერ მოიპოვებ"*.

კომპიუტერულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ უორდმა მეტოქეს დარტყმების 42 პროცენტი მოარტყა, ფროჩმა კი მხოლოდ 23. ბრძოლის შემდეგ ბრიტანელმა მონინააღმდეგისთვის ქების სიტყვები არ დაიშურა:

„ანდრე უორდს გულწრფელად ვულოცავ. მინდა შევაქო. ის შესანიშნავად იცავდა თავს. საერთოდ, დაცვაში ძალიან ძლიერია. მე ბრძოლა პატიოსნად წავაგე. არაფერს ვჩივი".

„კარლ ფროჩი ძლიერი მოკრივეა, - თავის მხრივ, არც უორდმა გამოავლინა სიძუნწე მონინააღმდეგის ქებაში. - *ვარჯიშზე ხელი ვიტკინე, ოღონდ, ამის შესახებ არაფერი მითქვამს. მეექვსე რაუნდში მაინც მოვახერხე მისთვის თავში დამერტყა და ტკივილი მიმეყენებინა, მაგრამ ამან ფროჩი ვერ გატეხა. ის გამოერკვა და ბრძოლა განაგრძო"*.

მიმომხილველები წერენ, რომ უორდს ხელი ნატკენი რომ არ ჰქონოდა, ბრიტანელს ძალიან გაუჭირდებოდა.

27 წლის ოკლენდელმა მოკრივემ, როგორც თავში მოგახსენეთ, მთელი ტურნირი (რომელიც 2009 წლის ოქტომბერში დაიწყო) დამაჯერებლად ჩაატარა. უორდმა პირველსავე ბრძოლაში დაამარცხა მოკრივე, რომელსაც Super Six-ში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ - **მიკელ კესლერს** მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო. შემდეგ, მან ჯერ **ალან გრინს** აჯობა (სხვათა შორის, ტურნირში ამ მოკრივის მონაწილეობა თავიდან არც იყო დაგეგმილი), შემდეგ კი **საკიო ბიკას**. ნახევარფინალში, ამერიკელისა და სომხური წარმოშობის გერმანელის **არტურ აბრაჰამის** (ნამდვილი სახელია - **ავეტიკ აბრაჰამიანი**) ბრძოლა კვლავ ამერიკელის თვალსაჩინო გამარჯვებით დასრულდა (120:108, 118:110, 118:111), ფინალის ამბავი კი ზემოთ მოგახსენეთ.

ფროჩი: *„ჩემთვის ცუდი დღე იყო. რაც დავგეგმე, ვერაფერი ვერ განვახორციელე და ანდრე უორდის დიდებულ დაცვას ვერაფერი მოვუხერხე. გარდა ამისა, უორდს ბედიც ულიმოდა, განსაკუთრებით ახლო ბრძოლის დროს. ბოლოს თავი ხელში ავიყვანე და ყველა ღონე ვიხმარე, რათა ჩემი დარტყმები ვერ მოეგერიებინა, მაგრამ უორდი მისხლტებოდა. ის დასხლტომაში ძალიან ძლიერია"*.

ილია ბაბუნაშვილი

ვიტალიმ ისევ პოლიტიკა ახსენა

უკრაინელი ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** მზად არის დატოვოს კრივი პოლიტიკური კარიერის სანაცვლოდ. სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი პოლიტიკური პარტია უდარ-ის („უკრაინის დემოკრატიული ალიანსი რეფორმებისთვის") ლიდერი გახლავთ.

„ეს უდიდესი გამოწვევაა - *ააშენო უკრაინაში დემოკრატიული სტანდარტების ევროპული საზოგადოება. მაგრამ მე ვიცი, რომ ის, ვინც არ იბრძვის - ვერ იგებს. და თუ უკრაინის მომავლისთვის ბრძოლის მოსაგებად სპორტული კარიერის დასრულებაა საჭირო, მზად ვარ ეს ნაბიჯი გადავდგა*, - ამბობს კლიჩკო უკრაინულ პრესაში. - *ჯერჯერობით, ხალხი უფრო მეტად მოკრივედ მიცნობს, მაგრამ მითხარით, რომელ სკოლაში ასწავლიან პოლიტიკოსობას? ნებისმიერს, ვისაც თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის სიკეთის მოტანა უნდა, შეუძლია და ვალდებულიცაა წავიდეს პოლიტიკაში"*.

გია თვალაბეიშვილი